ქართულ-ოსური კონფლიქტი: წარსული, დღევანდელობა და მშვიდობის მშენებლობის პერსპექტივები

2024

ანალიტიკური სტატიების კრებულში შესული მასალა ეძღვნება ქართულ-ოსურ კონფლიქტთან დაკავშირებული პრობლემების კომპლექსურ ანალიზს და მომავლის პერსპექტივების გამოკვეთას.

კრებული მომზადებულია ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის ქართულ-ოსური სამოქალაქო დიალოგის პროცესისა და პროექტის SCOPE: Supporting communities of practice and exchange ფარგლებში

ანალიტიკური სტატიების კრებული მომზადებულია 2024 წ. მაისში

სარჩევი

თბილისი და ცხინვალი დავიწყებული პრაგმატიზმის პირისპირ
ივანე აბრამაშვილი 4

წითელი ხაზები ქვიშაზე – ქართულ-ოსური კონფლიქტის ტრანსფორმაციული ენერგიის ძიებაში
შორენა ლორთქიფანიძე 10

მშვიდობის მშენებლობის პროცესები სამხრეთ კავკასიაში. ქართულ-ოსური კონფლიქტის გაკვეთილები
მარიამ ცხოვრებაშვილი 20

სამხრეთ კავკასია-2024: გლობალური გამოწვევები და კონფლიქტების მოგვარების ახალი შესაძლებლობები
პაატა ზაქარეიშვილი 30

ყოფილი „სამხრეთ ოსეთი“ თუ ფანტომური „სამაჩაბლო“ – სახელდების პრობლემა ქართულ-ოსურ კონფლიქტში
მიხეილ ჯახუა 38

თბილისი და ცხინვალი დავიწყებული პრაგმატიზმის პირისპირ

ივანე აბრამაშვილი

თბილისი, აპრილი, 2024

2008 წლის აგვისტოს ომი საგანგაშო გეოპოლიტიკურ მოვლენასთან ერთად წყალგამყოფი აღმოჩნდა ქართულ-ოსური ურთიერთობებისთვისაც. ბოლო 15 წელია ორ საზოგადოებას შორის გაუცხოების ხარისხი განუხრელად იზრდება.დაუსრულებელი „ბორდერიზაციით“ ერთმანეთისგან იზოლირებული მხარეები საკუთარი პარალელური რეალობებით ცხოვრობენ, მაგრამ ფაქტებისთვის თვალის გასწორება პერიოდულად მაინც უწევთ თბილისსა და ცხინვალს.

2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსეთის მიერ დაწყებულმა სამხედრო აგრესიამ შავი ზღვისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონებისუსაფრთხოებისა და პოლიტიკური სტატუს-კვო შეარყია. მიმდინარე კრიზისმა უამრავი ახალი, მაგრამ კარგად ნაცნობი შიში გააღვიძა მთელ პოსტ-საბჭოთა სივრცეში, განსაკუთრებით კი 30 წლოვან კონფლიქტის ზონებში. მოსკოვის მიერ თავდაპირველად დაგეგმილმა სამდღიანმა „სპეციალურმა სამხედრო ოპერაციამ“ რომელმაც უკვე ორი წელი მიითვალა, საკუთარი საფასური მოითხოვა მისადმი ლოიალური მოკავშირეებისგან, რომელთა შორის ერთ-ერთი მოწინავე სამხრეთ ოსეთია. როგორც განვლილმა ორმა წელმა აჩვენა თავად ეს საფასური არაერთგვაროვანი და კონტექსტის შესაბამისად ცვალებადია. ის არამხოლოდ ადამიანურია, არამედ პოლიტიკურიც, რომელმაც კიდევ ერთხელ გამოაჩინა უთანასწორობის ის თვალუწვდენელი ასიმეტრიულობა, რომელიც ცხინვალსა და მოსკოვს შორის არსებობს.[1]ამასთან, ცხინვალის მიერ ამ საფასურის გადახდის სწრაფი ტემპი და მაღალი ენთუზიაზმი აუცილებლად პირდაპირპროპორციული არ გამოდგა მოსკოვთან პარტნიორობის გაღრმავებისა, რაც კიდევ უფრო ართულებს ცხინვალის პოზიციებს, უზღუდავს მანევრირების სივრცესა და ბუნდოვანს ხდის სამხრეთ ოსეთის განვითარების ტრაექტორიას.

მოცემული სტატიის მიზანია სწორედ არსებული გეოპოლიტიკური ვითარების ფონზე გამოკვეთოს ის შესაძლო პოლიტიკური ტენდენციები, რომელიც ქართულ-ოსური ურთიერთობების ჭრილში შეიძლება განვითარდეს დასათავე დაუდოს 15 წლიანი სტატუს-კვოს ცვლილებას. ამასთან, ამ ანალიზის განვითარება ეფუძნება დაშვებას, რომ გაუცხოება ქართველებსა და ოსებს შორის ჯერ კიდევ არაა გაცდენილი იმ წერტილს, რომლის შემდეგაც

[1]Гарина И. «*России не нужны друзья, России нужны шестёрки».* Новая газета Европа. 08.08.2023. იხ. https://novayagazeta.eu/articles/2023/08/08/rossii-ne-nuzhny-druzia-rossii-nuzhny-shestiorki

უკან დაბრუნება შეუძლებელია და მაშასადამე აზრი აქვს ფიქრს საერთო ინტერესების ძიებაზე.

სტატუს-კვოს აღარც თუ ისეთი ბანალურობა

2008 წლის აგვისტოს ომმა მანამდე პოსტ-საბჭოთა სივრცის ერთ-ერთი შედარებით ყველაზე მარტივად დარეგულირებადი კონფლიქტი ფაქტობრივად დააკონსერვა. სამხედრო კონფლიქტით განახლებული უნდობლობითა და ოკუპაციის თანმდევი პროცესებით ქართულ-ოსური ურთიერთობები სულ უფრო დასუსტდა, რომელიც არც თუ დიდი ხნით ადრე განსაკუთრებული დინამიურობით გამოირჩეოდა. მხარეების ერთმანეთისგან ფიზიკური იზოლაცია, სამხრეთ ოსეთში სამოქალაქო სივრცის შეზღუდვა, პერიოდული მსხვერპლი, ოსური „სახელმწიფოებრიობის“ პროექტის მთლიანად რუსეთში ინტეგრაციაზე მორგებადა თბილისში კონფლიქტების მიმართ პოლიტიკური ინტერესის დაკარგვა გახდნენ ის მთავარი ფაქტორებირომლებმაც ხელი შეუწყესსაზოგადოებებს შორის გათიშულობისკრიტიკულ დონემდე მიყვანას. მზარდი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ნაპრალების ამოვსების ერთადერთ მცდელობად არაფორმალური დიალოგი დარჩა, თუმცა ამგვარი ფორმატები საკუთარი შესაძლებლობებით მკვეთრად შეზღუდულია.

ბოლო 15 წლის ამგვარმა მოცემულობამ ჩამოაყალიბა ერთგვარი კომფორტის ზონები კონფლიქტის ორივე მხარეს, რაც საფრთხის ქვეშ დადგა რუსეთის უკრაინაში სამხედრო შეჭრით. დაუცველობის განცდით გამოფხიზლებული თბილისი და ცხინვალი კვლავ ჯიუტად ცდილობენ საკუთარ კომფორტში დარჩენას, მაგრამ ცხადია მიმდინარე გეოპოლიტიკური კატაკლიზმის მასშტაბიდან გამომდინარე ეს სიჯიუტე დიდხანს ვეღარ გაგრძელდება. ეს რეალობა განსაკუთრებით ცხინვალისთვისაა რელევანტური, რომელიც ერთი შეხედვით ტრადიციული ინტეგრაციული პოლიტიკის მიუხედავად, მოსკოვისგან სასურველ შედეგებს ვეღარ იღებს და მთელი რიგი მზარდი სოციალურ, ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას.

რაც შეეხება თბილისს, ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება ავტომატურად გამოიწვევს კონფლიქტების საკითხების დღის წესრიგში დაბრუნებას, ვინაიდან მათი დარეგულირება გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკების პროცესში ერთ-ერთი საკვანძო საკითხი იქნება. ევროკავშირისთვის ნაცნობი მოდელები ტერიტორიული კონფლიქტების მქონე სახელმწიფოების წევრებად მიღების შესახებ შესაძლოა არც თუ ისე რელევანტური იყოს ახალი კანდიდატი ქვეყნებისთვის, შესაბამისადგანსხვავებული და კონტექსტის შესაბამისი მიდგომების ძიება უპირველესყოვლისა თბილისის ინტერესებშია.

ქართულ-ოსური ურთიერთობების განვითარების სცენარი 1 - სამხრეთ-ოსეთის „სახელმწიფოებრიობის“ განგრძობითი გამოფიტვა

რუსული ოკუპაციისა და „ერთი კონფლიქტის“ ნარატივის მიუხედავად კვლავ აქტუალური რჩება ქართულ-ოსური ურთიერთობების საკითხი, ვინაიდან ის მოუგვარებელი კონფლიქტი რომელიც 1990-იანი წლების შემდეგ კვებავს ტრავმასა და ხალხთა შორის უნდობლობას არსად წასულა. მიუხედავად ამისა, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო დამოუკიდებლობისა თუ „სახელმწიფოებრიობის“ მზარდი გამოფიტვის ფონზე სულ უფრო რთული ხდება ცხინვალისთვის შეინარჩუნოს მანევრირების სივრცე თბილისთან და მოსკოვთან ურთიერთობებში.

მიმდინარე გამოფიტვის ტენდენციას რამდენიმე ფაქტორი უწყობს ხელს. პირველი ესაა ადამიანური კაპიტალის კლება სამხრეთ ოსეთში. მეორე ფაქტორია საკუთარი უსაფრთხოებისა და სოციალურ-ეკონომიკური გარანტიების მთლიანად რუსეთის ფედერაციაზე გადაბარება, რომელიც ცხინვალის მიმართ სულ უფრო ნაკლები ენთუზიაზმითა და მეტი კონტროლით გაიცემა.[2]

ამგვარი მძიმე დემოგრაფიული და სოციალური ვითარება ხელს უწყობს, სამხრეთ ოსეთის, როგორც პოლიტიკური სუბიექტის უკიდურეს დასუსტებას და მთლიანად სხვა აქტორების „კეთილ ნებაზე“ დამოკიდებულებას. შესაბამისად, თუკი გამოფიტვის ეს ტემპი შენარჩუნდება მაშინ როდესაც რუსეთში არ არსებობს ჩამოყალიბებული პოზიცია მის შეერთებაზე, სამხრეთ ოსეთსმხოლოდ ისტორიულ-კულტურულ სიმბოლოდ დარჩენა ემუქრება. ეს თავის მხრივ ზრდის ალბათობას იმისას, რომ ტაქტიკური და სიტუაციური საჭიროებების შემთხვევაშითბილისთან ურთიერთობებში მოსკოვმა სიმბოლური დათმობები განახორციელოს ცხინვალის ინტერესების ხარჯზე, რაც როგორც წესი ძალიან მწვავედ აღიქმება ოსურ მოსახლეობაში.

ამგვარი პოლიტიკისბოლოდროინდელი მაგალითი იყო 2023 წლის მაისში,მოსკოვი-თბილისის პირდაპირი ფრენების დაწყებამდე ერთი დღით ადრე, რუსული ავიაკომპანია „აზიმუტის" (AzimuthAirlines) მიერ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ქვეყნების სიიდან ამოღება, რამაც დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ცხინვალში.[3]ოსები ასევეეჭვით შეხვდნენ კრემლის გადაწყვეტილებას საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის დაწესების შესახებ[4], ისევე როგორც ნებისმიერი სპეკულაციური საუბარი სამხრეთ ოსეთის სატრანზიტო სივრცედ გამოყენების შესახებ გარკვეულ შიშებს ბადებს ცხინვალში. გარდა ამისა, 2024 წლის მარტში ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო პარლამენტის სამ დეპუტატს - დავით სანაკოევს, გარი მულდაროვსა და ძამბოლატ მედოევს რუსეთის მოქალაქეობა ჩამოერთვათ „რუსეთის საზღვართან ახლოს მზარდი დაძაბულობის გამომწვევი ქმედებების“ გამო. ოსურ მოსახლეობაში რუსული „ეფესბეს“ ეს უპრეცედენტო გადაწყვეტილებაც ქართულ-რუსული

[2]გუკემუხოვი მ. *რა აღმოაჩინა რუსეთის აუდიტმა ცხინვალში – რატომ მალავენ დოკუმენტებს.* Netgazeti. 01.09.2021. იხ. https://netgazeti.ge/news/561730/

[3]Тарханова Ж. «*Авиаскандал» в Южной Осетии: все обвиняют всех и встревожены улучшением отношений между Россией и Грузией.* Jam-news. 19.05.2023. იხ. https://shorturl.at/CGX37

[4]ბურდული ნ. *რუსეთმა საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი გააუქმა.*Netgazeti. 10.05.2023. იხ. https://netgazeti.ge/life/669001/

ურთიერთობების დათბობითა და მოსკოვსა და ცხინვალში „პროქართული ლობისტების“ გაძლიერებით აიხსნა. [5]

ქართულ-ოსური ურთიერთობების განვითარების სცენარი 2 - ცხინვალის შემობრუნება განვითარებისკენ

უკრაინის ომით გამოწვეული გეოპოლიტიკური გაურკვევლობისა და მოსკოვთან ურთიერთობების ზემოთნახსენები ჩვეული სტრატეგიის მოძველების ჟამს ცხინვალისთვის მნიშვნელოვანია არსებულ რეალობასთან ადაპტირება იმ სულისკვეთებით, რომელსაც მეორე მსოფლიოს ომის შემდგომი პერიოდის ფინეთის პრეზიდენტმა იუჰოკუსტიპაასიკივიმ უწოდა „ფაქტების აღიარება, როგორც ყველანაირი სიბრძნის საფუძველი.“ დღეს, ფაქტების აღიარება სამხრეთ ოსეთისთვის იქნებოდა განვითარების მოდელისკენ შემობრუნება, რომელიც თავის თავში მოიაზრებს თბილისთან პრაგმატული ურთიერთობების გარდაუვალ და აუცილებელ აღდგენასაც.

ფაქტები, რომელსაც ცხინვალმა თვალი უნდა გაუსწოროს არის ის, რომ რუსეთი სულ უფრო მეტად მოითხოვს მასზე გაცემული პოლიტიკური, სამხედრო, სოციალური და ეკონომიკური დივიდენდების უკან ამოღებას როგორც მატერიალური ისე არამატერიალური სახით, რომელიც ზემოთნახსენებ გამოფიტვის ტენდენციას კიდევ უფრო დააჩქარებს. მაშასადამე პოლიტიკური და ეკონომიკური გადარჩენისთვის აუცილებელია სამხრეთ ოსეთმა დაიწყოს განვითარების მოდელზე ფიქრი. როგორც ნათლად ჩანს, დღეს სამხრეთ ოსეთს მკაფიო პრობლემები აქვს რუსეთთან გართულებული საბაჟო პროცედურებისა[6] და გაძვირებული იმპორტის კუთხით, რაც უკმაყოფილებასა და უსამართლობის განცდას იწვევს ადგილობრივ მოსახლეობაში, მაშინ როდესაც უკრაინის ომში თვალშისაცემად ბევრი ეთნიკურად ოსი სამხედროა დაღუპული.[7]

თუკი ცხინვალი განვითარების ახლებურ მოდელზე დაიწყებს ფიქრს ეს პირდაპირ გამოიწვეს ქართულ მხარესთან სავაჭრო და ადამიანური კავშირების გაღრმავებას ეკონომიკური წყაროების დივერსიფიკაციის კუთხით, რაც დადებითად აისახება ხალხთა შორის ნდობის აღდგენაზეც. ამგვარი პრაგმატული მაგრამ ამავე დროს ცხინვალისთვის სასიცოცხლო გადაწყვეტილება წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა კონფლიქტის ტრანსფორმაციის

[5]Эхо Кавказа. *Знакомые лица без гражданства*. 07.03.2024. იხ. https://www.ekhokavkaza.com/a/32852871.html
[6]Гукемухов М. «*Правила на таможне постоянно меняются… Там сам черт ногу сломит*» Эхо Кавказа. 19.01.2024. იხ. https://www.ekhokavkaza.com/a/32783744.html
[7]16-დან 61 წლამდე ასაკის ყოველ 10 000 მამაკაცზე უკრაინის ომში დაღუპულთა რაოდენობით ჩრდილოეთ ოსეთი პირველ ადგილზეა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის (იხ. https://www.bbc.com/russian/articles/cmmp04mz53po), ხოლოსამხრეთ ოსეთიდან დაღუპულია 40-მდე მეომარი (იხ. https://www.ekhokavkaza.com/a/32693313.html)

კუთხითაც, რაც ცხადია კონფლიქტის მხარეებს არ ავალდებულებს გადაკვეთონ მათი „წითელი ხაზები.“

მთავარიინდიკატორიგანვითარებისკენ ამგვარი შემობრუნების შესახებ პოლიტიკური ნების დასაფიქსირებლადიქნებოდა 2024 წლის 9 ივნისს დაგეგმილი ე.წ საპარლამენტო არჩევნების წინა საჯარო განხილვები ან დე ფაქტო ხელისუფლების მიერ იმ არაფორმალური დიალოგის არასაჯარო მხარდაჭერა, რომელიც შეზღუდულად, მაგრამ მაინც ნარჩუნდება ქართული და ოსი საზოგადოებების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს შორის. ამ კუთხით ცნობები, 2024 წლის თებერვალში რუსი კურატორებისა და დე ფაქტო ხელისუფლებას შორის გამართული დიალოგის[8] შესახებ, რომ ცხინვალისთვის აუცილებელია შიდა და გარე სტაბილურობის შენარჩუნება, მათ შორის თბილისის ზედმეტი არგაღიზიანებით, შესაძლოა იძლეოდეს იმის ინტერპრეტაციის საშუალებას, რომ ამგვარი „პრაგმატული“ კავშირების აღდგენა თბილისსა და ცხინვალს შორისსულაც არ იყოს ამ ეტაპზე კრემლისთვის მიუღებელი.

ქართულ-ოსური ურთიერთობების განვითარების სცენარი 3 - თბილისის პროაქტიული პოლიტიკა ევროინტეგრაციის ფონზე

2023 წლის დეკემბერში ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება მომდევნო წლების განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური რეფორმის დასაბამი იქნება საქართველოსთვის. გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები რომელიც ბრიუსელსა და თბილისს შორის ურთიერთობების განვითარების შემდგომი საფეხურია, პირდაპირ თუ ირიბად აუცილებლად შეეხება მოუგვარებელი კონფლიქტების პრობლემასაც. ამ გზაზე მოსალოდნელია, რომ ორივე მხარე დაიწყებს ფიქრს თუ რა მოდელითა და ფორმით უნდა მიუდგეს თბილისი ცხინვალთან და სოხუმთან ურთიერთობებს.

კვიპროსის გამოცდილებიდან გამომდინარე ევროკავშირისთვის არაა მიმზიდველი მის რიგებში დაიმატოს ისეთი ახალი წევრები, რომელთა ტერიტორიაზეც მისი *acquis Communautaire* ბოლომდე ვერ გავრცელდება. აქედან გამომდინარე იზრდება ალბათობა, რომ საქართველო პროაქტიულად მიუდგება საკუთარი საშინაო დავალების შესრულებასთუნდაც ცხინვალთან, სოხუმსა და მოსკოვთან აპრიორი კომუნიკაციის გარეშე.

მიუხედავად იმისა, თუ რა მოდელზე დაიწყება ფიქრი უკვე ცხადია, რომ კანდიდატის სტატუსის მიღებით თბილისი, როგორც ევროპული პოლიტიკური და ნორმატიული სივრცის ნაწილი,უკვე დათანხმდა საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის მხოლოდ მშვიდობიანი გზით აღდგენასა და ამ პოლიტიკისადმი ერთგულებას. ეს ცხადია უკვე თავისთავადი

[8]Гукемухов М. *Новое требование московских кураторов – не раздражать Тбилиси* Эхо Кавказа. 06.02.2024. იხ. https://www.ekhokavkaza.com/a/32808047.html

შედეგია, მაგრამ არასაკმარისი, აქედან გამომდინარე ის თუ როგორ წარმოუდგენია თბილისს „პოზიტიური მშვიდობის“ დღის წესრიგი მალე მოუწევს ამის სამსჯელოდ გამოტანა.

შეჯამება

აღნიშნული სტატია, როგორც შესავალში იქნა ნახსენები, მიზნად ისახავდა გამოეკვეთა ის შესაძლო, თუმცა რეალისტური სცენარები რომელიც ქართულ-ოსური ურთიერთობების სამომავლო განვითარებას ეხება. თბილისიდა ცხინვალი, რომლებიც ბოლო ათწლეულია შერჩევითი და კომფორტული პერსპექტივიდან უყურებდნენ 30 წლიან მოუგვარებელ კონფლიქტს, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ იძულებულები გახდნენსაბოლოოდ გაესწორებინათ თვალი იმ რეალობისთვის, რომელიც მთელი ეს პერიოდი გეგმაზომიერად ყალიბდებოდა.

ცხადია უკრაინის ომის სამომავლო განვითარება დამატებით კორექტივებს შეიტანს ქართულ-ოსურ ურთიერთობებში, მაგრამ უკვე დამდგარი შედგებითაც შეიძლება ითქვას, რომ2008 წლის შემდგომი სტატუს კვო დასასრულს უახლოვდება. თავის მხრივ, ახალი დღის წესრიგის ჩამოსაყალიბებლად მხარეებისთვის გადამწყვეტი იქნება პრაგმატიზმი და მოქნილობა, მაგრამ ზემოთ შეთავაზებული ანალიზის მიხედვით თუ თბილისისთვის ეს პოლიტიკურადაა მნიშვნელოვანი, ცხინვალისთვის შესაძლოა ეს ეგზისტენციალურ ამოცანად გადაიქცეს უახლოეს მომავალში.

წითელი ხაზები ქვიშაზე - ქართულ-ოსური კონფლიქტის ტრანსფორმაციული ენერგიის ძიებაში

შორენა ლორთქიფანიძე

თბილისი, 2024

შესავალი

წარმოდგენილი სტატია ერთგვარი ცნობიერების ნაკადია საქართველოს კონფლიქტების და კერძოდ, ქართულ-ოსური კონფლიქტის შესახებ. კონფლიქტის მიმართ აღქმები განხვავებულია ქართულ და ოსურ საზოგადოებაში, განსხვავებულია ოფიციალური ნატარივები; ერთი და იგივე ამბავი სხვადასხვაგვარად არის მოყოლილი და ინტერპრეტირებული. მხარეებს თავისი სიმართლე აქვთ, განმტკიცებული მძიმე გამოცდილებებით, ომით, ახლობელი ადამიანების დაკარგვით, სახლის და მიწის დაკარგვით, მუდმივი შიშით და ბუნდოვანებით მომავლის შესახებ. შიში და წუხილები განსხვავებულია; გამყოფი ხაზის გასწვრივ ადამიანებს ორივე მხარეს ფიზიკური საფრთხის განცდა აქვთ და ასევე ხილული, თუ უხილავი საზღვრების შიში.

განსხვავებულია კონფლიქტის მიზეზების შესახებ წარმოდგენები; არ არსებობს სრულად ობიექტური და მიუკერძოვებული ქართულ-ოსურიისტორიული მეხსიერება.. ტერიტორია, მიწა ამ კონფლიქტის მთავარი შემადგენელი ნაწილია, საქართველოსთვის ტერიტორიული მთლიანობა, მისი ურღვეობა და ქვეყნის ფიზიკური გამთლიანების იმპერატივი წამყვანია პოლიტიკურ და საზოგადოებრივ დისკურსში ყველა დონეზე.

ნაშრომი სწორედ ამ წითელი ხაზების კონტექსტში კონფლიქტთან დაკავშირებული გაცხადებული თუ დაფარული ინტერესების, გავრცელებული აზრების, განწყობების ქართულ ვარიანტს განიხილავს. კონფლიქტის პოლიტიკურ, სამართლებრივ, შიდასაზოგადოებრივ და პიროვნულ წითელ ხაზებს გაანალიზებს; დასვამს მთავარ კითხვას,არსებობს თუ არა წითელი ხაზების გადააზრების ან გაფართოების პოტენციალი? სად შეიძლება ვეძებოთ ეს შესაძლებლობა, ვინ რისთვის არის მზად და რა ნაბიჯების გადადგმა უზრუნველყოფს კონფლიქტის გამოცდილების და დღევანდელი მდგომარეობის იმგვარად გაახლებას, რაც მნიშვნელოვან ცვლილებას მოახდენდა აღქმების, ღირებულებების, ურთიერთობების, კონფლიქტის სტუქტურული ასპეტების ახალი მშვიდობიანი ხედვის ჩამოყალიბებაზე.

განსხვავებებთან ერთად სამ ათწლეულზე მეტია თანაცხოვრების პოზიციურ გამოცდილებაზე, გაზიარებულ ისტორიულ მეხსიერებაზე, საერთო კულტურულ ტრადიციებზეიწერება ქართველების და ოსების მიერ. თუმცა კონფლიქტის და დაპირისპირების ტრავმული გამოცდილება ხელს უშლის სიღმისეულ ტრანსფორმაციულ საუბარს და კონფლიქტის ობიეტურ ანალიზს.

კონფლიქტის ანალიზის საზღვრები მეტად ფართოა, მასში შეიძლება შემოვიტანოთ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ჩვენი საზოგადოებების დემოკრატიულობის ხარისიხი, მიმღებლობა და გახსნილობა დიალოგის პროცესში, გარე ძალების ინტერესები და ზეგავლენები და უფრო ფართო რეგიონული და საერთაშორისო კონტექსტის თავისუბურებები.

უკრაინის ომმა კიდევ მეტი სიმწვავე მიანიჭა საქართველოს კონფლიქტებს, მეტად გაურკვეველი გახადა პერსპექტივა და კიდევ უფრო დამოკიდებული გარე ფაქტორებზე, იმ შეზღუდვებზე და წითელ ხაზებზე, რასაც დამატებით ომი აწესებს, მითუმეტეს საქართველოსთვის „ოკუპანტი“ ქვეყანა ამ ომში აგრესორი მხარეა.

წითელი ხაზების სიმყიფე თუ სიხისტე, როგორც ზემოთ აღინიშნა, ბევრ გარემოებაზეა დამოკიდებულიდა მათ შორის სხვადასხვა დონის დიალოგში მონაწილეების პერსონალურ და პროფესიულ გამოცდილებაზე, მათ მზაობაზე, ცოდნაზე და ემოციურ კავშირებზე კონფლიქტთან.

საინტერესოა, გარეცხავს, თუ არა ქვიშაზე გახაზულ წითელ ხაზებს დროის მდინარე, თუ დავუშვებთ, რომ ჩაბეტონდეს საბოლოოდ.

პროფესიული გამოცდილება - კონფლიქტის ტრანსფორმაციის პოტენციალის ძიებაში

ჩემი პროფესიული გამოცდილება დიდწილად კონფლიქტის და მშვიდობის საკითხების შესწავლას და სწავლებას ეთმობა. ჩემი ინტერესი ყოველთვის იყო მეპოვა გზები და შესაძლებლობები, როგორ შეიძლება კონფლიქტზებზე მუშაობის სამეცნიერო ცოდნა, მიდგომები და გამოცდილება გამოვიყენოთ მშვიდობის მშენებლობის პროცესში. კონფლიქტის და დაპირისპირების თანამშრომლობის და დიალოგის სივრცეში გადატანის არა ერთი თეორიული მიდგომა და პრაქტიკული გამოცდილება არსებობს. ეს სამშვიდობო ინსტრუმენტების არსენალი შეგროვდა წლების განმავლობაში მრავალი პრაქტიკული სამშვიდობო გამოცდილებებით მსოფლიოს სხვადასხვა კონფლიქტებში, მათ შორის საქართველოში.

კონფლიქტის გააზრების, მასზე დაკვირვების შესაძლებლობა მომეცა 2018-2020 წლებში მსოფლიო ბანკის საერთაშორისო ანგარიშვალდებულების მექანიზმის ჩარჩოებში მუშაობის დროს. მედიაციას ვუწევდი კონფლიქტს ზემო აჭარაში ერთ-ერთი თემის მოსახლეობას და ჰიდროელექტრო სადგურის მმართველი კომპანიის წარმომადგენლებს შორის. კონფლიქტი შეეხებოდა სოფლის მოსახლეობის მიერ წარმოდგენილ საჩივარს კომპანიის მიერ განხორციელებული მშენებლობის დროს გარემოზე მიყენებულიზიანის შესახებ, რომელიც პირდაპირ კავშირში იყო ადგილობრივი თემის სოციალურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების რისკებთან და წუხილებთან. სოფლის მოსახლეობა და კომპანია დიალოგის პროცესს თავისიპირობებით დათანხმდნენ. 3 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არა ერთი შეხვედრა ჩატარდა მხარეების მონაწილეობით. ვმუშაობდი მცირე ჯგუფებთან, თითოეული შეხვედრის მომზადება და საკითხთან დაკავშირებით სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა

რთული პოლიტიკური და სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით ბევრ გამოწვევასთან იყო დაკავშირებული. მედიაციის პროცესი შეთანხმებით ვერ დასრულდა, მხარეებს გაუჭირდათ საკუთარი წითელი ხაზებისჩარჩოებში მისაღები გადაწყვეტის ვარიანტი მოეძებნათ. თუმცა მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა მედიაციის პროცესში, მოხდა ურთიერთობების ტრანსფორმაცია მხარეებს შორის. დღეს კომპანია და ადგილობრივი თემი ღია კომუნიკაციაშია ერთმანეთთან და საკუთარ წუხილებს თემი პირდაპირ უზიარებს კომპანიას.

აღნიშნული გამოცდილება რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. პროცესების დაგეგმვა ნებისმიერი დონის დიალოგისთვის საკვანძო საკითხია. დაგეგმვის პროცესის ნაწილია დაფიქრება მხარეების პოზიციებზე და ინტერესებზე, დაგეგმვის პროცესში მხარეების ჩართვა, დიალოგის იმ საკითხებით დაწყება, რისი მოგვარებაც შესაძლებელია არსებულ ფორმატებში.

ტრანსფორმაციის პროცესზე მსჯელობისას ასევე რამდენიმე საკითხი უნდა გავითვალისწინოთ, ვინ ვართ და რა როლით ვართ ამ პროცესში. ხშირად, ჩვენი როლი და კონფლიქტთან მიმართება განსაზღვრავს წითელი ხაზების სიმტკიცეს და ასევე ჩვენს ღიაობას.

წითელი ხაზები - კონფლიქტის ანალიზის პროცესის ნაწილი- თეორიული ასპექტები და საერთაშორისო გამოცდილება

წითელი ხაზების შეთახმებული განმარტება არ არსებობს, აკადემიურ ლიტერატურაში ან პოლიტიკურ ანალიზში არსებული განსაზღვრებები ინტერპრეტაციის საშუალებებს იძლევა.

ნებისმიერი დისკურსი ან განცხადება, რომელიც მიზნად ისახავს წითელი ხაზის განსაზღვრას ითვალისწინებს განსხვავებულ მიზანს და აუდიტორიას: ერთია, მოწინააღმდეგის შეკავება, მეორე საკუთარი საზოგადოებრივი აზრისა და შიდა ინსტიტუტების მობილიზება.[9] წითელი ხაზების ეს განსაზღვრება ცივი ომის პერიოდიდანაა, როდესაც წითელი ხაზები საერთაშორისო ურთიერთობებში შეკავების პოლიტიკის განხორციელების საჭირო ინსტრუმენტი იყო. საქართველოში ამ ტერმინის გამოყენება 2008 წლის ომის შემდეგ აქტიურად დაიწყო. „უმეტესწილად მას კონფლიქტების კონტექსტში ქართულ-რუსული, ხან კი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დაპირისპირების ფუნდამენტური ასპექტების წარმოსაჩენად მიმართავენ."[10]

კონფლიქტებთან მიმართებაში საქართველოსთვის წითელი ხაზები შესაძლოა ასახავდეს ყველაზე ძლიერ და მნიშვნელოვან ეროვნულ ინტერესებს, რომელიც დაკავშირებულია ეროვნულ და სახელმწიფობრივ იდენტობასთან და იმ პრიციპენთან და იდეებთან, რომელსაც

[9] Richard N. Lebow, Between Peace and War: The Nature of International Crisis, Baltimore, Johns Hopkins University Press, 1981, p. 85.

[10]ექსპერტი აზრი, ივლიანე ხაინრავა, წითელი ხაზები და არა მხოლოდ მათ შესახებ, 2020, საქართველოს სტრატეგიის და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.

ეყრდნობა ერი-სახელმწიფო. აქ პირველ რიგში, მოიაზრება სახელმწიფოს საზღვრები და მის ურღვეობის გარანტიები.

ერთია ეროვნული პოლიტიკის მიერ განმარტებული მიზნები და ინტერესები კონფლიქტების მოგვარების ჩარჩოებთან დაკავშირებით, მეორე საკითხია, სხვადასხვა აქტორები საზოგადოებაში რისთვის არიან მზად და როგორ ხედავენ დიალოგის პროცესებს.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებისწითელი ხაზები შესაძლოა იყოს საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები, ისეთი საკითხები, როგორიცაა ადამიანის უფლებების უპირობო დაცვა განურჩევლად კონფლიქტის რომელ მხარეს წარმოადგენს, უარის თქმა ძალისმიერი მეთოდებით პრობლემების გადაწყვეტაზე და ადამიანური უსაფრთხოების საკითხების პრიორიტეტი.

ასევე ცალკე გამოსაყოფია ხელოვნების სფერო, ლიტერატურა და კინო, რომელიც შედარებით თავისუფალია კონფლიქტის მიმართ წინასწარ განსაზღვრული ხედვებისაგან. ამის საუკეთესო მაგალითია, ფილმი „იარე ლიზა“, რომელიც ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა ნანა ჯანელიძემგადაიღო. ეკრანებზე 2023 წლის დასაწყისში გამოვიდა საქართველოში, მან აფხაზეთის კონფლიქტის შესახებაფხაზური და ქართული პერსპექტივა წარმოდგინა.ფილმი ერთგვარი მცდელობაააფხაზური „ტკივილის“ გაგების და ახსნის ქართულ პერსპეტივასთან ერთად. საზოგადოებაში ფილმს არაერთგავროვანი დისკუსია მოყვა, არის ბევრი კრიტიკა და ბრალდება ისტორიის დამახინჯების შესახებ ფილმის ავტორების მიერ. მაგრამ მთავარი მიღწევა ის არის, რომ საზოგადოება აღმოჩნდა მზად მიეღო ეს შინაარსი და გამოხატვის ამგვარი ფორმა.

სამოქალაქო საზოგადოების ნაწილმა დისკუსიაში არაღიარების პოლიტიკის გადახედვის შესაძლებლობის განხილვა შემოიტანა, დაისვა კითხვა, ხომ არის დრო ცალმხრივად გადაიხედოს კონფლიქტების მიმართ არსებული პოლიტიკა, მათ შორის „არაღიარების პოლიტიკა“? სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა ამ ნაწილის მთავარი არგუმენტია ის, რომ საჭიროარეალური დიალოგის შესაძლებლობისთვის პირობების შექმნა, პირველ რიგში, ქვეყნის შიგნით და არსებული პოლიტიკის კრიტიკული ანალიზი. ამ დისკურსს შეზღუდული რაოდენობის მონაწილეები და მხარდამჭერები ჰყავს.

საქართველოში მედიის ინტერესი კონფლიქტების მიმართ დაბალია, თუმცა როდესაც ამგვარი შესაძლებლობა იხსნება ეს აჩვენებს რამდენიმე ტენდენციას:

წითელი ხაზები მედია დისკუსიაში მეტად ხაზგასმული და მყარია, ესენია: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უპირობობა, ასევე დევნილების დაბრუნების გარდაუვალი აუცილებლობა და ომში ჩადენილი დანაშაულების გამოძიება და სიმართლის დადგენა.

ასევე მედია დროს უთმობს იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც ღიად უგუვებელყოფენ კონფლიქტის მხარეებს და კონფლიქტებს მხოლოდ გეოპოლიტიკურ პრიზმაში ხედავენ,

აქცენტს აკეთებენ ომში აფხაზების და ოსების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე, ქართულ ისტორიებზე და რუსეთის სამხედრო ყოფნაზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

მედია ერთი მხრივ, წარმოაჩენს ხისტ საზოგადოებრივ პოზიციებს, თუმცა ამავდროულად მეინსტრიმული მედია და ჟურნალისტები ცდიდობენ ერთგვარი ფასილიტაცია მოახდინონ და თავად მიუკერძოვებელი პოზიცია დაიჭირონ. ეს ტენდეციაც მიუთითებს ქართული პერსპეტივის გახსნილობას და ღიაობას დისკუსიისთვის.

ქართული-ოსური კონფლიქტის ანატომია, როგორ იქმნებოდა წითელი ხაზები

ქართულ-სამხრეთ ოსური კონფლიქტი კომპლექსური მოვლენაა; რთულია განისაზღვროს კონფლიქტის ტიპი, რადგან მასში ბევრი ფაქტორის ურთიერთმიმართება იკვეთება. კონფლიქტი რთული ისტორიული და პოლიტიკური პროცესების ნაწილი და შედეგია. შეიძლება ითქვას, საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში სხვადასხვა პოლიტიკურ ფორმაციებში (რუსეთის იმპერია, დამოუკიდებელი საქართველო 1918-1921 წწ., საბჭოთა საქართველო და დამოუკიდებელი საქართველო 1991 წლის შემდეგ) სხვადასხვა ფაქტორები და გამაღიზიანებლები ემატებოდა და აკლდებოდა კონფლიქტს, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია ძალადობრივი მოვლენების ჯაჭვი: 1991-1992 წლებში ქართულ-სამხრეთ ოსური ომი[11] და 2008 წელს რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში; სამხედრო ოპერაციებმა დიდ წილად სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიის დიდი ნაწილი დააზარალა, როგორც ოსური, ისევე ქართული სოფლები, ხოლო 2008 წლის რუსეთის სამხედრო აგრესიის შემდეგ სულ მცირე 158,000 მოქალაქე გახდა იძულებით გადაადგილებული პირი და ასევე შიდა ქართლის სოფლების ნაწილი ოკუპაციის ახალიხაზის მიღმა დარჩა.[12] დევნილებად იქცნენ ქართველებიც და ცხინვალის ოსებიც.[13]

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა, რომელშიც ქართველები უდიდეს უმრავალესობას წარმოადგენენ; მართალია პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია თანასწორობაზე იდგა, მათ შორის ხალხების თანასწორობის პრინციპზე, მაგრამ ამ იდეის განხორციელებისათვის რეალური შინაარსის მინიჭება რთული აღმოჩნდა. სახელმწიფოს მშენებლობის პროცესები, თუნდაც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, და ეროვნული გამათავისუფლებელი მოძრაობის მომზადება და მომწიფება ეთნოცენტრულ საფუძველს ემყარებოდა. მასში ვერ მოძებმა ადგილი თითქმის ვერც ერთმა ეთნიკურად არაქართველმა, პირიქით, მუდმივად ისმოდა ეთნოცენტრისტული მოწოდებები. საბჭოთა პერიოდში კი, ეთნიკურ ჯგუფებს შორის

[11]ვიკიპედიის ქართულ ვერსიაში ორი სტატია ეძღვნება ქართულ-ოსურ კონფლიქტს: ქართულ-ოსური კონფლიქტი, რომელიც უფრო ზოგადად მიმოიხილავს ურთიერთობებს და კონფლიქტის განვითარების ისტორიას, ხოლო მეორე სტატიას ეწოდება სამხრეთ ოსეთის ომი, რომელიც 1991-1992 წლების კონფლიქტს აღწერს.

[12]110 სოფელზე დაიკარგა კონტროლი

[13] დევნილებს შორის 30,000 ოსი ჩრდ. ოსეთში რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად. დევნილია სულ ამ კონფლიქტის შედეგად 230,000 ადამიანი იქცა დევნილად, როგორც ოსი, ასევე ქართველი მოქალაქეები 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე.

ურთიერთობები ინერციით ვითარდებოდა, მასზე განსაკუთრებული ზრუნვა არასოდეს ყოფილა, ერთადერთი პოლიტიკა იყო არაოფიციალუტი გაუცხადებელი ასიმილაციური პოლიტიკა, რომელიც ყოფით დონეზე „წარმატებით“ მუშაობდა.

სამხრეთ ოსეთი, საქართველოსთვის ისტორიული მხარეა, საქართველოს ერთიანობის სიმბოლო. ტერმინი ისტორიული შეიძლება ითქვას, ქართულ-სამხრეთ ოსურ დისკურსში მთავრი წითელი ხაზია, ამ კონფლიქტს და ურთიერთობებს ყველაზე მეტად აშინებს ისტორია. ყველაზე მეტად ართულებს ისტორიული პერსპექტივა. რაც არა უნდა დაიწეროს და ითქვას, რაც არ უნდა ნეიტრალური და, ერთი შეხედვით, უვნებელი იყოს, ჩანს რთული იქნება მისი მიღება. ქართულ ოსური კონფლიქტის ნარატივების ანალიზი აჩვენებს, რომ ადამიანები ძირითადად უარყოფით და მიკერძოვებულ ისტორიებს იმახსოვრებენ.[14]

ზემოთ ვახსენეთ, რომ ავტორიტარიზმი კიდევ უფრო ზღუდავს დიალოგის საკითხების სპექტრს. ავტორიტარულქვეყნებს ეშინიათ კონფლიქტების განხილვა ღიად, რადგან ამით კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ავტორიტარული სახელმწიფოს სოციალური და/ან ტერიტორიული ერთიანობა. მაგალითად, მალაიზიაში მალაიელების „განსაკუთრებული უფლებები“ ძირითადად ჩინელ და ინდოელ უმცირესობებთან მიმართებაში წითელი ხაზია და ეჭვქვეშ დაყენება შეუძლებელია. ერთის მხრივ, მთავრობა გარკვეულწილად იყენებს შიშებსა და დაძაბულობას სხვადასხვა ჯგუფებს შორის და თავს მშვიდობიანი ურთიერთობების გარანტორად აჩენს; მეორე მხრივ, მას შეიძლება ნამდვილად ეშინოდეს ფართომასშტაბიანი ეთნიკური არეულობის, ისევე როგორც ისლამური რადიკალიზმის. ყაზახეთში ეთნიკური ურთიერთობების განხილვა პრობლემურია, იმავე მიზეზებით.ჩინეთში უიღურ უმცირესობასა და სხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტებზე ფოკუსირება მიუღებელია. რუანდაში, როგორც ლოილი (2016, 925) წერს, ადამიანის ეთნიკურ იდენტობაზე კითხვების დასმა რეალურად კანონით არის აკრძალული. მაროკოს სუვერენიტეტის ეჭვქვეშ დაყენება დასავლეთ საჰარაზე, ან იმის ვარაუდი, რომ ადგილობრივი მოსახლეობის უფლებები ირღვევა, არის წითელი ხაზი მაროკოსთვის, ისევე როგორც კითხვა, ეკუთვნის თუ არა ტიბეტი ან ტაივანი ჩინეთს (იხ. აგრეთვე რენი 2016, 916).

რაც უფრო დემოკრატიულია საზოგადოება, მით მეტია შანსი, რომ გაფართოვდეს სივრცე და წითელი ხაზებიც დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ. თუმცა ამას მხარეების შეთანხმება და მზადყოფნა სჭირდება.

და რა არის წითელი ხაზები ქართულ ოსურ კონფლიქტში, ეს არის პოზიციები, ინტერესები თუ სასიცოხლო ინტერესები, რომელზეც კომპრომისი შეუძლებელია?

წითელი ხაზები - სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი ხაზი

[14] ჭანკვეტაძე ნ. 2019, ქართულ-ოსური კონფლიქტი, ფაქტი ნარატივი და რისიც გვჯერა.

საქართველოსთვის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი მთავარი წითელი ხაზია. ტერიტორიული მთლიანობა საქართველოს ყველა არსებული სახელმწიფო დოკუმენტის სულისკვეთებაა, ხოლო არაღიარების პოლიტიკა ამ მიზნის განხორციელების ერთ-ერთ გზად გვევლინება. კონკრეტული ამოცანა აქვს კანონს ოკუპაციის შესახებ, ეს იყო პასუხი 2008 წლის რუსეთის საქართველოში შემოჭრაზე.

წითელი ხაზია საქართველო-რუსეთის ურთიერთობების საკითხი ქართულ-ოსური კონფლიქტის კონტექსტში; 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ ეტაპობრივად ახალი პოლიტიკის გატარება დაიწყო საქართველოს კონტროლის გარეთ დარჩენილი აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მიმართ. ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტის ცნება ტრანსფორმირდა რუსეთის მიერ ინსცენირებულ პოლიტიკურ კონფლიქტებად. ამგვარი დამოკიდებულება კონფლიქტის მიმართ და კონფლიქტის მიზეზების შეკვეცა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტად, ბუნებრივად აჩენდა კონფლიქტის ანალიზში დეფიციტს და, შესაბამისად, ამცირებდა კონსტრუქტიული ინტერვენციის შესაძლებლბებს კონფლიქტის მოგვარების, შემდეგი ესკლაციის პრევენციის, ტრანსფორმაციის ან კონკრეტულ მომენტში მენეჯმენტის თვალსაზრისით.

კონფლიქტის ანალიზი კომპლესური პროცესია. კონფლიქტის ანალიზი გვეხმარება უფრო დიდი კონტექსტში გავიაზროთ კონფლიქტი, ვისმჯელოთ მხარეებზე, მათ მოტივაციაზე, დაინტერესებულ მხარეებს შორის ურთიერთობების თავისებურებაზე და მის დინამიკაზე, ამ პროცესში ხდება იმ საკითხების იდენტიფიცირება, რომელიც კონკრეტულ მომენტში პრიორიტეტულია და სასწრაფოდ მოითხოვს რეაგირებას. ანალიზის პროცესი საშუალებას იძლევა განისაზღვროს კონფლიქტის გავლენები და ზემოქმედება. კონფლიქტის ანალიზი და პოლიტიკური ანალიზი ერთმანეთს არ გადაფარავს, არ არის ერთი და იგივე.

წითელ ხაზებზე მსჯელობა კონფლიქტის ანალიზის ნაწილია, თუმცა ასევე შესაძლებელია ეს დისკუსია დიალოგის პროცესშიც გაჩნდეს, ამზადებდეს მოლაპარაკებებისთვის სივრცეს და მოხაზავდეს ამ სივრცეს.

2011 წელს დამტკიცებული საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ნომერ პირველ ეროვნულ ინტერესად ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფას აცხადებს.

ეროვნული ერთიანობის და სამოქალაქო თანხმობის მიღწევა საქართველოში მცხოვრები ყველა მოქალაქის, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვით, ეროვნული ინტერესების ჩამონათვალში მეორეა. ამავე პუნქტში ხაზგასმულია თვითიდენტიფიკაციის თავისუფლება და არადისკრიმინაცია, როგორც თვითმყოფადობის შენარჩუნების და განვითარების მთავარი პრინციპი.

საქართველოსთვის რეგიონული სტაბილურობა მნიშვნელოვანი ინტერესია თავისუფლებასთან და დემოკრატიასთან ერთად საქართველოში და მის მეზობლად. საქართველოს ეროვნულ ინტერესებშია ეკოლოგიური და ენერგეტიკული უსაფრთხოების

უზრუნველყოფა მოქალაქეთა კეთილდღეობისთვის. აქვეა ხაზგასმული საქართლოსთვის, როგორც უძველესი ისტორიის მქონე ქვეყნისთვის ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის უზრუნველყოფის მნიშვნელობა.[15]

მზადება ახალი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, თუმცა ეროვნული ინტერესების თავი, როგორც წესი არ იცვლება. დიდწილად ეროვნული ინტერესები განსაზღვრავს იმ წითელ ხაზებს, რომელიც ძირითადი სალაპარაკო თემაა და დაპირისპირების საგანიც.

მაგალითად, წითელ ხაზად შეიძლება განვიხილოთა ტალიავინის დასკვნა სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევის უფლებების შესახებ: „საერთაშორისო საზოგადოება (რუსეთის ჩათვლით) მუდმივად უსვამდა ხაზს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის საკითხს, როგორც 2008 წლის შეიარაღებულ კონფლიქტამდე, ისე მას შემდეგ. ეს ნათლად იყო გამოხატული როგორც გაერო-ს უშიშროების საბჭოს რიგ რეზოლუციებში, ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებში. ეს განცხადებები მიუთითებს მასზედ, რომ თვითგამორკვევაზე დამყარებული ნებისმიერი გამოყოფის უფლება ნებადართული არ არის.

დასკვნა: გარდამავალ პერიოდში, როდესაც საქართველო გახდა დამოუკიდებელი, სამხრეთ ოსეთის ხალხის სწრაფვა თვითგამორკვევისკენ არ განხორციელებულა არც დე-ფაქტოდ, და არც დე-იურედ, რადგან ავტონომიის სტატუსი გაუქმებულ იქნა მისი სხვა მტკიცე კანონიერი გარანტიებით ჩანაცვლების გარეშე. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სამხრეთ ოსეთს არ ჰქონდა საქართველოდან გამოყოფის უფლება.“ [16]

მთავრობის პროგრამა: ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის, რომელიც მოიცავს პერიოდს 2024-2027, ასევე აქცენტს აკეთებს ტერიტორიული მთლიანობაზე და არაღიარების პოლიტიკის მტკიცე საერთაშორისო მხარდაჭერის მობილიზებაზე.

წითელი ხაზების ცნება საქართველოსთვის 2008 წლის ომის შემდეგ აქტუალიზდა. რომელიც სამართლებრივად ეყდნობა კანონს ოკუპაციის შესახებ და ასევე არაღიარების პოლიტიკას, რაც 2008 წლის ომის შემდეგ რუსეთის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე პასუხი იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ დევნილთა საკითხი კიდევ ერთი წითელი ხაზია საქართველოსთვის ქართულ-ოსურ კონფლიქტში. თუმცა აქაც ბევრი კითხვის ნიშანი და გაურკვევლობაა.

გარდაკონცეპტუალური საკითხებისა, შეიძლება ცალკე გამოვყოთ ის მოვლენები, რომელიც ნდობას კიდევ უფრო ამცირებს და კონფლიქტის ტრანსფორმაციის პერსპექტივას აბუნდოვნებს. ასეთი მოვლენებია ქართველების მკვლელობა გამყოფი ხაზის მიმდებარედ. არც ერთი საჯარო გამოხმაურება ამ კვლელობებზე არ ყოფილა ოსეთის სამოქალაქო

[15],,საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია” 2011; https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43156?publication=0

[16]საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია, ანაგარიში, ტომი1 და ტომი 2, 2009 წელი. გვ.

საზოგადოების მხრიდან. ბორდერიზაციის პროცესი თავისთავად დისტანცირებას და გაუცხოებას კიდევ უფრო ამყარებს და აღრმავებს.

კულტურული მემკვიდრეობის საკითხები ასევე ამ კონფლიქტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. რუსეთის მიერ ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დღეს საკულტო დანიშნულების 556 ტაძარია.[17] სამხრეთ ოსეთში მათი დიდი ნაწილი ინგრევა, მაშინ როცა აფხაზეთში უფრო აქტიურად ხდება მისი გადაკეთება რუსული სტილის ეკლესიებად. კულტურული მემკვიდრეობის საკითხები ასევე ძალიან მძიმე საკითხია ორმხრივ ურთიერთობებში, რადგან ეს საკითხები პირდაპირ კავშირშია ეროვნულ იდენტობასთან როგორც საქართველოსთვის, ასევე ოსებისთვის.

ტრანსფორმაციის რესურსის ძიებაში

ზოგიერთი მეცნიერისთვის კონფლიქტის ტრანსფორმაცია არის მეთოდი, რომელიც კონფლიქტის მოგვარებამდე მიგვიყვანს; თუმცა ამავე დროს კონფლიქტის ტრანსფორმაცია შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ცლილებები, რომელიც ხდება ურთიერთობებში, ღირებულებებში, სისტემებში და სტრუქტურებში, რაც განაპირობებს კონფლიქტის კომპონენტების ცვლილებებას, კონფლიქტების ეფექტის შემცირებას, ახალი გართულებების თავიდან აცილებას.

კონფლიქტის ტრანსფორმაციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ პროცესში იცვლება კონფლიქტის მახასიათებლები, ანუ ტრანსფორმაციის პროცესი არის მეთოდი, რომელიც ეხმარება მხარეებს გაერკვნენ ურთიერთობებში და უკეთ გაუგონ ერთმანეთს. კონფლიქტის ტრანსფორმაცია კავშირშია მშვიდობის მშენებლობასთან და სისტემურ ცვლილებებთან. კონფლიქტის ტრანსფორმაცია პრაქტიკული ქმედებების ერთობლიობაა, რომელიც დიალოგის პროცესის შენარჩუნებას ეხმარება ((Brubaker and Verdonk, 1999; Bock and Anderson, 1999; Green, 2002; Schrock-Shenk and Ressler, 1999; Schrock-Shenk and Stutzman, 1995). ტრანსფორმაციის ტიპებში გამოყოფენ საერთაშორისო კონტექსტის, შიდა სტრუქტურების, აქტორების, საკითხების, პერსონალურ და ელიტების ტრანსფორმაციას.

რამდენად შესაძლოა ველოდოთ, რომ უკრაინაში რუსეთის დამარცხების შემთხვევაში საქართველოს შეეძლება შინაარსიანი და მიზანზე ორიენტირებული დიალოგის პროცესიდაიწყოს? ან რა შეიძლება მოხდეს, თუ პროცესები პირიქით განვითარდება?

მიუხედავად, საქართველოში დღეს არსებული დემოკრატიის კრიზისისა, რამდენიმე დეკადის განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოებამ დასავლეთთან კავშირებით გაიფართოვა ხედვის არეალი; თავისუფლების ხარისიხი მაღალია და ასევე მზადყოფნა არსებითი დიალოგისთვის მყარია.

[17] ოკუპირებული მემკვიდრეობა - რა მოსდის ძეგლებს ომის შემდეგ. ივნისი 30, 2021 ეკა ქევანიშვილი, რადიო თავისუფლება

ცხადია მაღალი საფრთხე, რომ დემოკრატიის უკანსვლა ახალი რიტორიკის ლიდერებს მოიყვანს ხელისუფლების სათავეში, რომელთაც შესაძლოა ისევე შეზღუდონ კონფლიქტებზე დისკუსია, როგორც არადემოკრატიულ ქვეყნებში, რომელთა მაგალითები ზემოთ იყო ნახსენები.

დღეს ჩვენს წინაშე კვლავ ეგზისტენციალური საკითხები დგას და ეს საკითხები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კონკრეტული წითელი ხაზები. ეს კი, ქართველებს და ოსებებს ერთნაირად უნდა აღელვებდეთ, რადგან კიდევ უფრო ბუნდოვანი ხდება ჩვენი საერთო თუ ცალცალკე მომავალი.

მშვიდობის მშენებლობის პროცესები სამხრეთ კავკასიაში. ქართულ-ოსური კონფლიქტის გაკვეთილები

მარიამ ცხოვრებაშვილი

თბილისი, 2024

შესავალი

სამხრეთ კავკასიაში ჯერ კიდევ 1980-იანი წლების ბოლოდან აშკარა იყო ეთნონაციონალისტური განწყობების გამძაფრება.ქართულ-აფხაზურმა, ქართულ-ოსურმა, სომხურ-აზერბაიჯანულმა დაპირისპირებებმა მოიცვა რეგიონი, რასაც შემდეგ წლებში პროცესების დრამატული განვითარება მოჰყვა. რონალდ რეიფილდი სამხრეთ კავკასიაში დამოუკიდებლობის მოთხოვნას კრაზანების ბუდეზე ფეხის დაბიჯებას ადარებს[18] და მართლაც, 1990-იანი წლების დასაწყისში ამ რეგიონში შეიარაღებული კონფლიქტების რამდენიმე კერა გაჩნდა. ეთნოპოლიტიკური დაპირისპირებები შეიარაღებულ კონფლიქტებში გადაიზარდა- 1991 წლის დასაწყისში სამხრეთ ოსეთში / ცხინვალის რეგიონში, უფრო ადრე ყარაბაღში, ხოლო 1992 წლის ზაფხულში აფხაზეთში. კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას დიდი მხარდაჭერა არ ჰქონდა არც ერთი მხარის ელიტების მხრიდან და პრევენციული ინიციატივების ერთეულმა შემთხვევებმა ვერ შეცვალა დაპირისპირებების სურათი.[19]კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების პრევენციული მიდგომებიგადაუდებელი საკითხების დონეზე რეაგირებას მოითხოვს, თუმცა მიმართულია მომავლისკენ და კონცენტრირებულია საზოგადოების მიერ კრიზისის გამომწვევი ფაქტორების იდენტიფიცირებასა და მისი განმეორების თავიდან აცილებაზე.[20]ქაოტური პოსტ-საბჭოთა კრიზისების ფონზე კისამხრეთ კავკასიაში რთული აღმოჩნდა არათუ შეიარაღებული დაპირისპირებების თავიდან არიდება, არამედ მათი ახალ-ახალი კერების გაჩენის შეჩერება.

1990-იანები წლებიდან, კონფლიქტების ცხელი ფაზების დასრულებისთანავე, სამხრეთ კავკასიაში სამშვიდობო პროცესების პირველი ნაბიჯები გადაიდგა. სამშვიდობო ოფიციალური პოლიტიკის კვალდაკვალ ფეხს იდგამდა და ვითარდებოდა სამოქალაქო სამშვიდობო ინიციატივებისა და დიალოგის ფორმატები. წინამდებარე ტექსტი არის მცდელობა დინამიკაში მიმოიხილოს საქართველოს ოფიციალური სამშვიდობო პოლიტიკის

---

[18]რეიფილდი, რონალდ; *„საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინი.“* გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი, 2019, გვ. 558.

[19]აბრამიშვილი, ივანე; ქოიავა, რევაზ; *„საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის 25 წელი“.* კავკასიური სახლი, თბილის, 2018, გვ.13.

[20] Lederach, John Paul; Building peace: Sustainable Reconciliation in Divided Societies, United States Institute of Peace, 1999.

პარალელურად სამოქალაქო სამშვიდობო დიალოგის პროცესის განვითარება ქართულ-სამხრეთოსური მიმართულებით, თავისი გამოწვევებითა და შესაძლებლობებით.

სამშვიდობო პროცესის პირველი ნაბიჯები

ქართულ-სამხრეთოსური მიმართულებით სამშვიდობო პროცესი კონფლიქტის შეიარაღებული ფაზის დასრულებით დაიწყო მაშინ, როცა 1992 წლის ივნისში ედუარდ შევარდნაძემ ორმხრივ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი რუსეთის ფედერაციასთან. სოჭის ხელშეკრულების სახელით ცნობილი დოკუმენტი ითვალისწინებდა სამხრეთ ოსეთში ცეცხლის საყოველთაო შეწყვეტას, დემილიტარიზაციის გეგმის შემუშავებას და ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის შექმნას საქართველოს, რუსეთის, სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის მონაწილეობით. კომისიას შერეული სამშვიდობო ძალების მეშვეობით უნდა აღეკვეთა კონფლიქტის შემდგომი განვითარება. იმავე წლის აგვისტოში, აფხაზეთში შეიარაღებული დაპირისპირების დაწყებამ, სამშვიდობო პროცესი ქართულ-სამხრეთოსური მიმართულებით შეაფერხა, მაგრამ მოლაპარაკებები 1993 წლის სექტემბრიდან კვლავ განახლდა და გაგრძელდა შემდეგ წლებშიც.[21]

ოფიციალური სამშვიდობო პოლიტიკის პარალელურად, აქტიურდებოდა სამოქალაქო სამშვიდობო მიმართულებაც. 1994 წლიდან ქართულ პრესაში გამოჩნდა წერილები, სადაც სამოქალაქო დიალოგის ფორმატების პირველი გამოვლინებები იკითხება, თუმცა ისინი ზოგადი მესიჯებით შემოიფარგლება და არ არის მიმართული კონკრეტული კონფლიქტური რეგიონისკენ. „საქართველოს ქალები მშვიდობისთვის“ ასე ერქვა საზოგადოებას, რომელიც ამერიკაში ამიერკავკასიის ქალთა დიალოგში მონაწილეობდა, სომხეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენლებთან ერთად.[22]ასევე, „საქართველოს მოზარდი და სტუდენტი ახალგაზრდობის სამშვიდობო-კულტურული ხიდები მსოფლიოს ყველა ეროვნების, მრწამსის და რწმენის ახალგაზრდობასთან“ - ასეთი სახელის საერთაშორისო ასოციაციის შექმნას გვამცნობს პრესა 1994 წლის აპრილში.[23] ამ პერიოდში ქართულ სამოქალაქო საზოგადოებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ფორმალიზებული სახე, თუმცა სამოქალაქო სამშვიდობო დიალოგის მონაწილეები იხსენებენ, რომ პირველი ნაბიჯები ქართულ-ოსური სამოქალაქო დიალოგის მიმართულებით ჯერ კიდევ 1993-1994 წლებში გადაიდგა მაშინ, როცა ქართველები და ოსები პირველ საკონფერენციო ფორმატის შეხვედრებზე ერთმანეთს აჭარაში, ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ რეგიონალურ ფორუმებზე ხვდებოდნენ.[24]1990-იანი წლების შუა პერიოდიდან ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების ფორმირების აქტიური ეტაპი დაიწყო და სამოქალაქო დიალოგმაც უფრო

[21]ჯონსი, სტივენ; *„საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“.* სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2013, გვ.132.
[22]გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, N127, 1994 წელი, 19 ივლისი, გვ.2.
[23]გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, N68, 1994 წელი, 26 აპრილი, გვ.2.
[24]ინტერვიუ ზურაბ ბენდიანიშვილთან (სამოქალაქო დიალოგის მონაწილე, კონფლიქტოლოგი). 12.03.2024

სისტემური სახე მიიღო. საერთაშორისო ფონდებისა და ორგანიზაციების მხარდაჭერითა და მედიაციით, ადგილობრივი ქართული და სამხრეთოსური ორგანიზაციები თუ ინდივიდუალური აქტორები მონაწილეობდნენ სამოქალაქო სამშვიდობო პროცესში. ფორმატები შინაარსობრივად მრავალფეროვანი იყო და მოიცავდა განათლების, ეკონომიკის, ეკოლოგიის, ჟურნალისტიკის, ქალთა საკითხებისმიმართულებას.[25]

1990-იანი წლების ბოლოს პოლიტიკურ დონეზე ნდობის აღდგენამ და მშვიდობის სტაბილურად შენარჩუნებამ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დევნილების დაბრუნება წაახალისა. აღსანიშნავია, რომ გაძლიერდა სატრანსპორტო და სავაჭრო კავშირები. გარდა ამისა, ერგნეთის ბაზრის როლი მნიშვნელოვნად იყო აღქმული ქართულ-ოსური ნდობის აღდგენის პროცესში და მისი დახურვა ერთ-ერთ წყალგამყოფ მოვლენადაა მიჩნეული. თუმცა ამ ბაზრის არალეგალური, კორუფციული მხარე კონფლიქტის ლეგალური მხარის დარეგულირების შემაფერხებლადაც განიხილება.[26]

კონფლიქტის მწვავე ფაზასა და ომს შორის მოქცეული მშვიდობა

2000-იანი წლების დასაწყისში შიდა პოლიტიკური მდგომარეობა შეიცვალა თბილისშიც და ცხინვალშიც. ამან მნიშვნელოვნად შეაფერხა სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესი, თუმცა სამოქალაქო დონეზე არსებული სამშვიდობო ფორმატები კვლავ აქტიურად აგრძელებდა მუშაობას. ამ ფორმატებისთვის თბილისსა და ცხინვალს შორის მოქალაქეების მიმოსვლის შესაძლებლობა ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა. ხშირად შეხვედრები თბილისში ან ცხინვალში იმართებოდა.არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ჟურნალისტებს შეეძლოთ თბილისიდან ცხინვალში ჩასულიყვნენ ოს კოლეგებთან თანამშრომლობის ფარგლებში და ასევე პირიქით, ცხინვალიდან ჩამოსულიყვნენ თბილისში. შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტზე მუშაობისა და დიალოგის სამოქალაქო განზომილება წარმატებულ ნაბიჯებს დგამდა.

2004 წელს საქართველოს ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ქართულ-სამხრეთოსური ურთიერთობის მიმართულებით ერგნეთის ბაზრის დახურვა იყო, რომელიც ეკონომიკური „შავი ხვრელების“ არსებობას უწყობდა ხელს. თუმცა, ანტიკონტრაბანდულმა ოპერაციამ და ბაზრის დახურვამ ადგილზე ვითარება დაძაბა, დაიწყო შეტაკებები კონფლიქტის ზონაში და გაჩნდა საფრთხე, რომ ეს შეტაკებები სრულმასშტაბიან სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზრდებოდა. დაძაბული ვითარება მალევე განიმუხტა და მხარეები ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებამდე მივიდნენ, თუმცა გართულებული ურთიერთობები მარტივად ვერ დალაგდა და შემდეგ წლებშიც საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო

[25]ინტერვიუ მამუკა ყუფარაძესთან (სამოქალაქო დიალოგის მონაწილე, სტუდია RE-ს დირექტორი). 22.03.2024
[26]აბრამიშვილი, ივანე; ქოიავა, რევაზ; გვ17

ინიციატივები წარმატებას ვერ აღწევდა.[27]ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინიციატივად შეგვიძლია განვიხილოთ რესტიტუციის კანონი, რომლის მიხედვითაც საქართველოს სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას აღადგინოს 1989-1992 წლებში სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის შედეგადსაქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა, რადგან ეთნიკურად ოსი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს მოუწია საცხოვრებლიდან იძულებით გადაადგილება. კანონის თანახმად უნდა შექმნილიყო სპეციალური კომისია ქონებრივი უფლებების აღდგენისა და კომპენსაციების განსასაზღვრად.[28] თუმცა კანონის იმპლემენტაცია გაურკვეველი ვადით გადაიდო და 2024 წლის მდგომარეობითაც არ არის დაწყებული.

2004 წლის მოვლენების[29]და შემდგომ პერიოდში გართულებული ურთიერთობების ფონზე, სამოქალაქო დონეზე არსებულმა თანამშრომლობის მექანიზმებმაც დაკარგეს ეფექტიანობა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისსა და ცხინვალს შორის მიმოსვლის შესაძლებლობა შენარჩუნდა, ერთობლივპროექტებზემუშაობისგან სამოქალაქო საზოგადოება უკვე თავს იკავებდა.[30] საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივებს აქტიურად ეხმიანებოდა ქართული სამოქალაქო საზოგადოება. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ, 2005 წელს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სახელზე გაგზავნილი მიმართვა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ცალკეულიაქტივისტების მიერ, რომელიც ეხებოდა მიმდინარე მოვლენებსა და მთავრობის სამშვიდობო ინიციატივებს. თუმცა ვერც მაშინ და ვერც შემდეგ წლებში, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორს შორის ამ მიმართულებით თანამშრომლობითი ურთიერთობა ვერ შედგა, რის მიზეზადაც ივლიანე ხაინდრავა „საზოგადოებასა და მთავრობას შორის კომუნიკაციის ხაზზე აღმართულ ყრუ, ხმაგაუმტარ კედელს“ მიიჩნევს.[31]

ისევე, როგორც სხვა პოსტ-საბჭოთა კონფლიქტებს,ქართულ-სამხრეთოსურ კონფლიქტსაც აქვს რამდენიმე განზომილება და სამშვიდობო მოლაპარაკებებიც რამდენიმე განზომილებაში მიმდინარეობდა. 2004-2005 წლებში თბილისსა და მოსკოვს შორის, აქტიური მოლაპარაკებები წარმოებდა კონფლიქტის ზონებიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე. თუმცა ქართულ-რუსული ურთიერთობები უფრო და უფრო იძაბებოდა, 2006 წელს კი რუსეთის ჯაშუშთა ქსელის გამომჟღავნებამ, შეამცირა რუსეთთან სტაბილური და მშვიდი ურთიერთობის დამყარების შანსები.[32]2007 წელს საქართველოს ხელისუფლების მიერ სოფელ

---

[27]აბრამიშვილი, ივანე; ქოიავა, რევაზ; გვ26.

[28]საქართველოს კანონი ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ.https://matsne.gov.ge/ka/document/view/23050?publication=4#! 09.04.2024

[29]იგულისხმება ერგნეთის ბაზრის დახურვა, დაძაბული ვითარება და შეტაკებები, რამაც ურთიერთობები გართულა ქართულ-სამხრეთოსურ მხარეებს შორის.

[30]ინტერვიუ ზურაბ ბენდიანიშვილთან (სამოქალაქო დიალოგის მონაწილე, კონფლიქტოლოგი). 12.03.2024

[31]ხაინდრავა, ივლიანე; *„სამოქალაქო საზოგადოება და სამშვიდობო პროცესი“*. ქართველ მკვლევართა სტატიების კრებული - „ქართულ-ოსური კონფლიქტი: სამშვიდობო გზის ძიება“. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2011, გვ.44.

[32]ჯონსი, სტივენ; გვ.345.

ქურთაში სამხრეთ ოსეთის დროებით ადმინისტრაციის დაარსების ერთ-ერთ მიზეზად საერთაშორისო საზოგადოებისთვის გაგზავნილი მესიჯი მოიაზრებოდა, რომ რეალურად კონფლიქტი ქართველებსა და ოსებს შორის არ არსებობდა და პრობლემას რუსეთი წარმოადგენდა.[33] ამ მოვლენების ფონზე თბილისსა და ცხინვალს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო გამწვავდა. რეგიონში ორმხრივი სროლები ყოველდღიურობად იქცა. 2008 წლის ივლისში საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან რუსეთის 58-ე არმიის საჯარისო დანაყოფების დიდი ნაწილი, ჩატარებული სამხედრო წვრთნების დასრულების შემდეგ ადგილზე დარჩა და საბოლოოდ 2008 წლის აგვისტოში უკიდურესად დაძაბული მდგომარეობა ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა.

მშვიდობის მშენებლობის ომისშემდგომი ფაზა

ომის შემდეგ ქართული ოფიციალური სამშვიდობო პოლიტიკა რამდენიმე ძირითად მექანიზმს დაეფუძნა: 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესაბამისად, შექმნილ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატს[34], ევროკავშირის შეუიარაღებელ სამოქალაქო სადამკვირვებლო მისიას (EUMM)[35]და ცოტა მოგვიანებით შექმნილ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმს (IPRM)[36]. ომმა სრულიად შეცვალა მანამდე არსებული სამშვიდობო პროცესების ყველა განზომილება. მართალია სამოქალაქო დონეზე მიმდინარე სამშვიდობო პროცესები ომის წინა უკიდურესი დაძაბულობის ფონზეც არ შეწყვეტილა, მაგრამ მათი ინტენსივობა და მრავალფეროვნება უკვე შეზღუდული იყო. 2008 წლის ომის შემდეგშეხვედრების ჩატარება თბილისსა და ცხინვალში უკვე შეუძლებელი გახდა, მაგრამ მალევე ახალი ფორმატები შეიქმნა, როდესაც დეკემბერშიჯორჯმეისონის უნივერსიტეტის მხარდაჭერით დაიწყო ქართულ-ოსური შეხვედრების სერია სახელწოდებით „თვალსაზრისი“. შეხვედრების ციკლში მონაწილეობას სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები იღებდნენ სხვადასხვა პროფესიული წრეებიდან. შეხვედრების შესახებ ქართულ მედიაში 2012 წელს გამოჩნდა რამდენიმე სტატია.[37] მანამდე, 2010 წელს ქართულ-ოსური სამოქალაქო ფორუმის შესახებაც დაიწერა[38]. აღსანიშნავია, რომ ამავე წლიდან საქართვლოს მთავრობამ კონფლიქტის ადამიანური განზომილების ტრანსფორმაციაზე მუშაობის მიმართულებით გადადგა ნაბიჯები. სახელმწიფო სტარატეგიის გაცხადებულ მიზნებში ხაზგასმული იყო ადამიანზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარება, თუმცა მოკლე დროში საქართველოს სახელმწიფო

[33]აბრამიშვილი, ივანე; ქოიავა, რევაზ; გვ27.
[34]https://smr.gov.ge/ge/page/26/jenevis-saertashoriso-molaparakebebi
[35]https://www.eumm.eu/ge/about_eumm/mandate
[36]https://smr.gov.ge/ge/page/27/incident-prevention-and-response-mechanism
[37]ქართულ-ოსური სამოქალაქო დიალოგი ახალი იმედებით, რადიო თავისუფლება. 02.11.2012 https://www.radiotavisupleba.ge/a/georgian-osetian-dialogue/24758585.html
[38]ქართულ-ოსური სამოქალაქო ფორუმის წევრებმა სამოქმედო გეგმა შეიმუშავეს, რადიო თავისუფლება. 03.12.2010 https://www.radiotavisupleba.ge/a/2238222.html

პოლიტიკის ამგვარი რადიკალური ცვლილება ცხინვალისა და სოხუმის მხრიდან კრიტიკულად შეფასდა და მხოლოდ ტაქტიკურ სვლად იქნა განხილული. ამიტომ, ამ ინიციატივებს კონფლიქტების დარეგულირების მიმართულებით მნიშვნელოვანი შედეგები არ მოჰყოლია.[39] სამაგიეროდ სამოქალაქო ინიციატივებსა და სამშვიდობო დიალოგის ფორმატებს ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და ნაყოფიერი ხანა დაუდგა. ქართულ-სამხრეთოსური ურთიერთობები საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში მოექცა და სამოქალაქო სამშვიდობო ინიციატივების წახალისება აქტიურ პროცესად იქცა, ხოლო ფორმატები ისევ მრავალფეროვანი გახდა.[40]

2012 წელს საქართველოში კვლავ შეიცვალა ხელისუფლება, რომელმაც კონფლიქტების დარეგულირების მიმართულებით განსხვავებული მიდგომები აირჩია და სოხუმსა და ცხინვალთან ორმხრივი კავშირების სტიმულირება გადაწყვიტა. ამის ერთ-ერთი პირდაპირი გამოვლინება სოხუმისა და ცხინვალისთვის პირდაპირი დიალოგის დაწყების შეთავაზება იყო. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიანი გზა განისაზღვრა და ძალის გამოუყენებლობის შესახებ აღებული ვალდებულება 2013 წლის 7 მარტის პარლამენტის რეზოლუციაში დაფიქსირდა.[41]ასევე, აღსანიშნავია 2014 წელს მინისტრის აპარატისთვის სახელის შეცვლა, რომელსაც ერქვა „სახელმწიფო მინისტრის აპარატი რეინტეგრაციის საკითხებში“.იმდროინდელი მინისტრის, პაატა ზაქარეიშვილის ინიციატივით უწყების ახალი დასახელება გახდა „სახელმწიფო მინისტრის აპარატი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში.“ სამშვიდობო პროცესების წარმართვისთვის ახალი სახელი ბევრად უფრო შესაფერისი გახდა, რადგან პაატა ზაქარეიშვილის განმარტებით, აფხაზებისა და ოსებისთვის მიუღებელი იყო ისეთ უწყებასთან თანამშრომლობა, რომლის სახელშიც „რეინტეგრაცია“ ფიგურირებდა იმიტომ, რომ მათთვის ეს არსებული კონფლიქტის მოგვარებასთან არ ასოცირდებოდა.[42]

ამ ინიციატივების მიუხედავად, მალევე ნათელი გახდა, რომ საქართველოს მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკა რეაქციულ და კრიზისულ რეჟიმში მუშაობის ფორმატიდან მარტივად ვერ გამოვიდოდა.სწორედ ამიტომ პირველი მნიშვნელოვანი წარმატება სამშვიდობო პროცესში, 2016 წელს იქნა მიღწეული, როცა ქართულ-აფხაზურ-ოსური შეთანხმების საფუძველზე პატიმრების გაცვლა მოხდა გალის რაიონსა და სოფელ ერგნეთთან. საქართველოს ხელისუფლებამ ოსურ მხარეს 4 პატიმარი გადასცა, ხოლო სანაცვლოდ აფხაზურმა და ოსურმა მხარეებმა 12 პატიმარი დაუბრუნეს.[43]პატიმრების გათავისუფლების

[39]აბრამიშვილი, ივანე; ქოიავა, რევაზ; გვ39.

[40]ინტერვიუ გოგა აფციაურთან (სამოქალაქო დიალოგის მონაწილე, ჟურნალისტი). 21.03.2024

[41]საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ. 2013 წლის 7 მარტი. https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/115666 10.04.2024

[42]ზაქარეიშვილი, პაატა; *ხედვა. კონფლიქტები საქართველოში 2012-2016.* ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი, 2021.გვ.20-21

[43]აბრამიშვილი, ივანე; ქოიავა, რევაზ; გვ 41-43.

პროცესი მხარდაჭერილი იყო საქართველოს სახალხო დამცველის მიერაც. ომბუდსმენის აპარატი შეისწავლიდა საქართველოს ციხეებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მკვიდრი პატიმრების უფლებრივ მდგომარეობას. მათი გათავისუფლების საკითხი ასახული იყო უწყების ანგარიშებსა და რეკომენდაციებში, როგორც ხელშემწყობი მხარეებს შორის ნდობის აღდგენისა და შემდგომი სტაბილურობის შენარჩუნების პროცესში. 2014 წელს სახალხო დამცველის ინიციატივით შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო - ოსური ფორუმი, რომელიც კონსულტირებას უწევდა სახალხო დამცველს ეთნიკურად ოსი მოსახლეობის უფლებების დაცვის მიმართულებით. სამუშაო ჯგუფი განიხილავდა როგორც „გამყოფ ხაზთან“ დაკავებებსა და პატიმრების უფლებრივ მდგომარეობას, ასევევე მოქალაქეობასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და რესტიტუციის საკითხებს. სახალხო დამცველის ერთ-ერთი რეკომენდაციაც სწორედ რესტიტუციის კანონის ამოქმედებას შეეხებოდა. [44]

წარმატებული თანამშრომლობის მაგალითები გამოიკვეთა სამოქალაქო დიალოგის პროცესშიც, სადაც როგორც წესი, მონაწილეები ჰუმანიტარულ საკითხებს განიხილავენ ხოლმე და ცდილობენერთობლივად გადაჭრან ისეთი პრობლემები, რომელიც ქართულ და სამხრეთოსურ საზოგადოებას თანაბრად ეხება და აწუხებს. სამოქალაქო დიალოგის ფორმატის „თავალსაზრისის“ ფარგლებში შეხვედრების მონაწილეებმა წამოჭრეს ზონკარის წყალსაცავის საკითხი, რომელიც საფრთხეს უქმნიდა როგორც ოსურ, ასევე ქართულ სოფლებს. სამოქალაქო დიალოგის მონაწილეების აქტიური მუშაობისა და მათ მიერ პროცესში პოლიტიკური აქტორების ჩართვის შედეგად, პრობლემა გადაიჭრა.[45]

ახალი გამოწვევები და ქართული საზოგადების განწყობები

საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკას თუ გადავხედავთ 2012 წლიდან 2024 წლამდე, მისი ძირითადი შინაარსი ჰუმანიტარული საკითხების გარშემო ტრიალებს და არ შეიცავს მწვავე პოლიტიკურ მესიჯებს. თუმცა პოლიტიკური საკითხები ჟენევის ფორმატში განიხილება, ხოლო ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი (IPRM) ადგილზე ყოველდღიური ინცინდენტების განსახილველად და ოპერატიული რეგირებისთვის გამოიყენება. მთავრობის ყველა ხელმძღვანელი, რომელიც ამ პერიოდში იკავებდა თანამდებობას, ცდილობდა ომის არარსებობა შეენარჩუნებინა და კონფლიქტების მწვავე ფაზის პრევენციულ რეჟიმში აწარმოებდა სამშვიდობო პოლიტიკას. საქართველოს მთავრობის მეთაურები საერთაშორისო ტრიბუნიდანაც ადამიანის უფლებების საკითხებზე, კონფლიქტების ადამიანურ განზომილებაზე და ამ მიმართულებებით პრობლემების მთავარ შემოქმედზე, რუსულ ოკუპაციაზე საუბრობდნენ. ამ მესიჯებს შეიცავდა 2016 წელს პრემიერ

[44]სახალხო დამცველის სპეციალური სინფორმაციო ნარკვევი გამყოფ ხაზზე დაკავებებისა და პატიმართა მდგომარეობის შესახებ. საქართველოს სახალხო დამცველი. 2014 წლის ივნისი. https://ombudsman.ge/res/docs/2019040514065686199.pdf 10.04.2024

[45]ქართულ-ოსური სამოქალაქო დიალოგის პერსპექტივა. რადიო თავისუფლება 19.11.20213 https://www.radiotavisupleba.ge/a/samokalako-dialogi/25184045.html

მამუკა ბახტაძის სიტყვა გაეროს ტრიბუნიდან[46] და იგივე მესიჯები გააჟღერა 2021 წელს იმავე ტრიბუნიდან პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმაც.[47]ოფიციალური სამშვიდობო ინიციატივებიც იგივე შინაარსით შემუშავდა. მაგალითად, 2018 წელს საქართველოს პრემიერ მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის მიერ მთავრობის სხდომაზე წარდგენილი ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“. ინიციატივა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ითვალისწინებს, ასევე გამყოფი ხაზების გასწვრივ სავაჭრო კონტაქტებისა და მიმოსვლის წახალისებას.[48]

ერთი შეხედვით, მთავრობის ამგვარი პოლიტიკის ფონზე სამოქალაქო სამშვიდობო ინიციატივები და დიალოგის პროცესი წახალისებული და მხარდაჭერილი უნდა იყოს. პირდაპირი წინააღმდეგობა ამ პროცესების მიმართ ქართული ხელისუფლების მხრიდან არც დაფიქსირებულა, თუმცა სამოქალაქო დიალოგის მონაწილეები ვერც მხარდაჭერას ხედავენ[49]. უფრო მეტიც, 2023 წლის თებერვალში „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა საქართველოს პარლამენტის მიერ[50], არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან სამოქალაქო სექტორის დისკრედიტაციის მცდელობად შეფასდა, რაც მშვიდობის მშენებლობის პროცესის დაზიანებასაც გამოიწვევდა.[51]

ბოლო წლებში სამოქალაქო დონეზე მიმდინარე სამშვიდობო პროცესებს სხვა ბევრი გამოწვევაც ჰქონდა. 2010 წლიდან გააქტიურებული პროცესი შენელდა, რასაც რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო ხელი. მსოფლიო კოვიდ პანდემიამ და რუსეთის მიერ უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომის დაწყებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პროცესზე, თუმცა სრულიად განსხვავებული მიზეზებით. სამოქალაქო დიალოგის მონაწილეების დაკვირვებით,სამხრეთ კავკასიაში სამშვიდობო პროცესებში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების ფოკუსი 2020 წელსყარაბაღში დაწყებულმა საომარმა მოქმედებებმა მნიშვნელოვნად შეცვალა, ხოლო შემდგომრუსეთ-უკრაინის ომის ფონზე შემცირდა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ჩართულობა ქართულ-სამხრეთოსური სამშვიდობო დიალოგის კონტექსტში და შესაბამისად შემცირდა ფინანსური მხარდაჭერაც პროექტებისა, რომლებიც მანამდე ხორციელდებოდა.ქართულ-სამხრეთოსური სამოქალაქო დიალოგის პროცესის შენელება ასევე გამოიწვია იმან, რომ ცხინვალში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების დახურვამ თითქმის გააქროთანამშრომლობის

[46]პრემიერ მინისტრი გაეროში რუსულ ოკუპაციაზე, აფხაზებთან და ოსებთან ჩართულობაზე საუბრობს, civil.ge, 27.09.2018 https://civil.ge/ka/archives/255912

[47]ღარიბაშვილის სიტყვით გამოსვლა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, civil.ge, 24.09.2021 https://civil.ge/ka/archives/442742

[48]https://smr.gov.ge/uploads/prev/__a2beda36.pdf

[49]ინტერვიუ მედეა ტურაშვილთან (სამოქალაქო დიალოგის მონაწილე). 23.03.2024

[50]https://parliament.ge/media/news/biuros-gadatsqvetilebit-kanonproekti-utskhoeli-agentebis-registratsiis-shesakheb-gansakhilvelad-komitetebs-gadaetsa

[51]კონფლიქტებით დაზარალებულ პირთა უფლებებსა და მშვიდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების გამოხმაურება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 07.03.2023 https://rb.gy/e6kyss

შესაძლებლობებიდა პროცესი მხოლოდ ინდივიდუალური აქტორების ჩართულობის დონეზე დარჩა.[52]აღსანიშნავია ისიც, რომ 2023 წელს სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის შეიარაღებული ფაზისგანახლება და შედეგად მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე აზერბაიჯანის კონტროლის გავრცელება, ქართული საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, ტერიტორიების დაბრუნების აბსტრაქტული სურვილების ხორცშესხმულ მაგალითად იქნა აღქმული. ყველაფერმა ამან კიდევ უფრომეტი სკეპტიციზმი გააჩინა სამოქალაქო სამშვიდობო დიალოგის მიმართ და გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებული სამშვიდობო პროცესები კიდევ უფრო ნაკლებად პოპულარულად აქცია. ქართულ საზოგადოებაში მილიტარისტული განწყობები არ ჭარბობს, თუმცა ის არც მყარად დგასსამოქალაქო დონეზე სამშვიდობო ინიციატივების მხარდაჭერაში. სამოქალაქო დიალოგის მიმართაც ყოველთვის არსებობდა კითხვები და ეჭვები. ხშირად კონფლიქტების შესახებ დისკუსია ზედაპირულია, ტერმინების განხილვას ვერ სცდება და მხოლოდ იმაზე კამათითშემოიფარგლება სამხრეთ ოსეთი უფრო სწორი ტერმინია თუ სამაჩაბლო.ასევე, სამოქალაქო დიალოგის მიმართ არასათანადო აღქმები და მოლოდინები არსებობს, თითქოს ამ პროცესის ფუნქცია ტერიტორიული დავების პოლიტიკური გადაწყვეტა უნდა იყოს. მაგრამ მეორეს მხრივ ინფორმაციის გაცვლა ადამიანებს შორის, ერთმანეთის მოსმენა, ერთმანეთის ადგილას საკუთარი თავის დაყენება და ერთმანეთის ინტერესების გაგება კონფლიქტით გაყოფილი საზოგადოებებისთვის, არანაკლებ მნიშვნელოვანია. ბოლოდროინდელმა კრიზისმა ნათლად აჩვენა ქართულ საზოგადოებაში შიდა დიალოგის საჭიროებადა ზოგადად სამოქალაქო დიალოგის ღირებულების გააზრების მნიშვნელობა.[53]შიდა დიალოგის საჭიროება მკაფიოდ ჩანს, როცა დისკუსია კონფლიქტების შესახებ სიღრმისეულ სახეს იღებს და იკვეთება ისეთი პოლიტიკური და სოციალური საკითხები, რომელზეც შიდა საზოგადოებრივი შეთანხმება არ არსებობს. თემატური დისკუსიებისთვის არ არის ბევრი პლატფორმა, სადაც განხილული იქნება არა მხოლოდ კონფლიქტებზე მუშაობის სამომავლო მშვიდობიანი გზები, არამედ წარსულში მომხდარი მოვლენების ანალიზი და გადააზრება.

დასკვნა

რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, სულ-უფრო მყიფე ხდება გეოპოლიტიკური მოცემულობა, რაც ახალ გამოწვევებს აჩენს. პოლიტიკური სპექტრისა და საზოგადოების გარკვეულ ნაწილში სამოქალაქო სამშვიდობო დიალოგის შედეგიანობა კითხვის ნიშნებს და ირონიას იწვევს.კონფლიქტების შესახებ დისკუსიაში გაჩნდა აგრესიული პოლიტიკური კამპანიები, სადაც მშვიდობის კონცეფციას განსხვავებული შინაარსობრივი იარლიყები მიეწება. საზოგადოების განწყობები სამოქალაქო დიალოგის მიმართ არასოდეს ყოფილა

[52]ინტერვიუ მამუკა ყუფარაძესთან (სამოქალაქო დიალოგის მონაწილე, სტუდია RE-ს დირექტორი). 22.03.2024
[53]ინტერვიუ მედეა ტურაშვილთან (სამოქალაქო დიალოგის მონაწილე). 23.03.2024

ერთგვაროვანი და მუდმივად განიცდიდა ცვლილებას სხვადასხვა გარე ფაქტორებისა და შიდა პოლიტიკური მდგომარეობის გავლენით. გარდა ამისა, ყოველთვის არსებობდა სკეპტიციზმი იმის შესახებ, რეალურად შეუძლია თუ არა მოიტანოს შედეგები სამოქალაქო დიალოგმა. ყოველ ჯერზე როცა რუსული მილიტარისტული პოლიტიკის შედეგებს ხედავს ქართული საზოგადოება, სამოქალაქო სამშვიდობო დიალოგი ალბათ მართლაც პეპლის საჭერი ბადით თამაშად ეჩვენება. თავად დიალოგის მონაწილეებიც ხდებიან ხშირად პროცესის მწვავე კრიტიკოსები და მოწინააღმდეგეებიც კი. თუმცა კონფლიქტის ვერც ერთ ეტაპზე, საქართველოს ოფიციალურ სამშვიდობო პოლიტიკასა და სამოქალაქო დიალოგს შორის მჭირდო თანამშრომლობითი ურთიერთობა ვერ შედგა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მის წარმატებაზე.

სამხრეთ კავკასია-2024: გლობალური გამოწვევები და კონფლიქტების მოგვარების ახალი შესაძლებლობები

პაატა ზაქარეიშვილი
თბილისი, 2024

სამხრეთ კავკასია, შავი და კასპიის ზღვები არიან გეოპოლიტიკური მიზიდულობის მნიშვნელოვანი ზონები, სადაც იკვეთება რეგიონალური და ზესახელმწიფოების ინტერესები. გარდა ამისა, ამ რეგიონში ბოლო წლებში პერმანენტულად მიმდინარეობს ტექტონიკური გეოპოლიტიკური ძვრები, რასაც ადგილი არ ქონია, ბოლო 100 და 30 წლის განმავლობაში[54]. ახალი რეალობიდან გამომდინარე, ჯობია სამხრეთ კავკასიაში არსებული ვითარების შეფასება დავიწყოთ საერთაშორისო კონტექსტისა და რეგიონში მიმდინარე პროცესებზე გავლენის ძირითადი მოთამაშეების ინტერესების ანალიზით.

დღეს სამხრეთ კავკასიასა დ აშავ ზღვაში იკვეთება ორი დიდი მოთამაშის - რუსეთისა და თურქეთის ინტერესები. თურქეთის გავლენა რეგიონის სამივე სახელმწიფოზე იზრდება, თუმცა არაპროპორციულად. 2020 წლამდე ანკარა, მიუხედავად იმისა, რომ დეკლარირებულად მხარს უჭერდა აზერბაიჯანს, ყოფილი მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე არსებული მოუგვარებელი კონფლიქტის საკითხზე ნეიტრალურ პოზიციას იკავებდა და ბაქოსა და ერევანს რეგულარულად მშვიდობისკენ მოუწოდებდა. თურქეთმა სამხრეთ კავკასიაში გააქტიურება დაიწყო 2020 წლის შემოდგომაზე, როდესაც აზერბაიჯანმა ყარაბაღის 30 წლიანი „გაყინული კონფლიქტის“ ძალისმიერი მეთოდით მოგვარება გადაწყვიტა. იმ დროს, ანკარამ მკაფიოდ დაიკავა ბაქოს მხარე, თუმცა აზერბაიჯანისა და სომხეთის დაპირისპირებაში ჩაერთო არა უშუალოდ საომარ მოქმედებებში მონაწილეობით, არამედ დიპლომატიური, ეკონომიკური, პოლიტიკური და გარკვეულწილად სამხედრო რესურსების გამოყენებით[55]. ამ პერიოდიდან მოყოლებული, თურქეთი,100 წლის შემდეგ პირველად, გაშლილი დროშებით ბრუნდება სამხრეთ კავკასიაში[56]. მან 1921 წელს,ბოლშევიკურ რუსეთთან ხელშეკრულების[57] საფუძველზე, დატოვა სამხრეთ კავკასია და ახლა ბრუნდება, არა როგორც პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული და რევანშით შეპყრობილი იმპერია, არამედ როგორც ნატოს წევრი და ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებების მქონე სახელმწიფო.

---

[54]საქმე ეხება რუსეთის იმპერიის ორჯერ დაშლას: 1917 წლის თებერვალში და 1991 წლის დეკემბერში.
[55]თურქთმა ბაქო უზრუნველყო სამხედრო საექსპერტო მხარდაჭერით და კონსულტაციებით, სავარაუდოდ, სადაზვერვომონაცემებითდაიარაღით,კერძოდდრონები.
[56]https://netgazeti.ge/news/492582/
[57] https://ka.wikipedia.org/wiki/მოსკოვის_ხელშეკრულება_(1921)

დღეს თურქეთს აქვს გავლენა არა მხოლოდ შავ ზღვასა და სამხრეთ კავკასიაში, არამედ ბალკანეთზე, ხმელთაშუა ზღვაზე და აფრიკაშიც კი - მაგალითად, 2024 წლის თებერვალში თურქეთი და სომალი შეთანხმდნენ, რომ თურქული ფლოტი დაიცავს სომალის ტერიტორიულ წყლებს, ამით თურქეთი შეძლებს სპარსეთის ყურის კონტროლსაც[58]. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ თურქეთი მკაფიოდ ადასტურებს ამბიციას, გააფართოოს თავისი გავლენის სფეროებ ირეგიონში და მის ფარგლებს გარეთაც.

თურქეთი ახორციელებს დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ნატოსა და „არა-ნატოს“ შორის დაბალანსების პოლიტიკას. ანკარას ინტერესები სამხრეთ კავკასიაში გამოხატულია აზერბაიჯანის მხარდაჭერით, ხოლო შავ ზღვაში უკრაინასთან კავშირებით. თურქეთმა მიაწოდა კიევს დრონები ხელმისაწვდომ ფასად (რომელსაც უკრაინელები ეფექტურად იყენებდნენ ომის პირველ თვეებში); კიევს აუგო და გადასცა სამხედრო ხომალდი; საერთაშორისო სამართლის საფუძველზე ჩაკეტა ბოსფორის სრუტე სამხედრო ხომალდებისთვის, რამაც მიზანმიმართულად შეასუსტა რუსეთის მცდელობები ზღვიდანაც განეხორციელებინა უკრაინის წინააღმდეგ აგრესია. თურქეთის ყველა ეს ქმედება ნათლად აჩვენებს, რომ ის არის არა ნეიტრალური მოთამაშე რეგიონში, არამედ დაინტერესებული სახელმწიფო, რომელიც, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, წარმატებით ახორციელებს თავისი სტრატეგიული ინტერესების რეალიზაციას, რაც მდგომარეობს რეგიონში თურქეთის, როგორც ნატოს წევრი სახელმწიფოს დომინირებას.

გარდა ამისა, თურქეთი პოზიციონირებს, როგორც თურქულენოვანი სამყაროს ლიდერი. ის არის თურქული სახელმწიფოების ორგანიზაციის[59] (OTS) სულისჩამდგმელი, რომელიც აერთიანებს ცენტრალური აზიის თურქულენოვან სახელმწიფოებს. ეს კიდევ ერთი რეგიონი (ბალკანეთისა და სამხრეთ კავკასიის გარდა), სადაც იკვეთება თურქეთისა და რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები. თავად რუსეთში დაახლოებით 10 მილიონი თურქულენოვანი მოქალაქეა: თათრები, ბაშკირები, ჩუვაშები, ყარაჩაელები, ბალყარელები და სხვები.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-უკრაინის ომში თურქეთი ცდილობს ორივე მხარესთან ჰქონდეს პარტნიორული ურთიერთობები, ის რუსეთის მიმართ წარმატებით ახორციელებს არგაღიზიანების პოლიტიკას. თავის მხრივ, რუსეთიცანგარიშს უწევს თურქეთის ინტერესებს - ანკარასთან ურთიერთობის გართულება უფრო მეტად შეასუსტებდა რუსეთის როლს შავ ზღვასა და სამხრეთ კავკასიაში. აქედან გამომდინარე, მოსკოვისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თურქეთთან მიმართებაში თანმიმდევრულად მისდიოს შეკავებისა და გაწონასწორების პოლიტიკას. ცხადია, სამხრეთ კავკასიაში ანკარა და მოსკოვი არიან არა პარტნიორები, არამედ კონკურენტები, რომლებიც, საჯარო ქცევებში ინარჩუნებენ პოლიტიკურად კორექტულ ურთიერთობებს. მაგალითად, სირიასა და ლიბიაში, სადაც ამ ქვეყნებისსახელმწიფოებრიობა ეგზისტენციალური გამოწვევების წინაშე დგას, თურქეთსა და

[58] https://www.youtube.com/watch?v=nt3d-oKfN1w

[59] https://ka.wikipedia.org/wiki/ თურქული_სახელმწიფოების_ორგანიზაცია

რუსეთს შორის კონფრონტაცია შეუიარაღებელი თვალითაც კი იკვეთება. სირიასა და ლიბიისშემთხვევაში მოსკოვი და ანკარა კონკურენტები კი არა, მეტოქეები არიან. ჩამოთვლილიმაგალითები იმაზე მეტყველებს, რომ თურქეთსა და რუსეთს, სხვადასხვა თემებზე, ერთმანეთის მიმართ განსხვავებული ხედვები და პრეტენზიები აქვთ. მათი ურთიერთობა არ არის სტრატეგიული პარტნიორების ალიანსი. ეს ურთიერთობა უფრო სიტუაციური პარტნიორობის გამოვლენაა.

გარდა თურქეთსა და რუსეთს შორის მკაფიო მეტოქეობისა, სამხრეთ კავკასიის მიმართ მზარდი ინტერესები გააჩნიათ ევროკავშირსა და შეერთებულ შტატებს. ევროკავშირი რეგიონში იმყოფება ინსტიტუციურად, საქართველოს მეშვეობით. ეს არის ერთადერთი საერთაშორისო ინსტიტუტი, რომელმაცუზრუნველყო მოლაპარაკებების ფორმატი და შეაჩერა 2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომი. სწორედ ევროკავშირის ეგიდით დაიდო ექვსპუნქტიანი სამშვიდობო გეგმა თბილისსა და მოსკოვს შორის[60], საიდანაც შეიქმნა ევროკავშირის ინსტრუმენტები: ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია[61] და ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი[62]. ბოლო ორი წელიწადია, ევროკავშირმა, საქართველოში მიმდინარე სადამკვირვებლო მისიის მსგავსად,სომხეთის მხრიდან დაიწყო სომხეთ-აზერბაიჯანის სახელმწიფოს საზღვრის მონიტორინგიც[63]. ხოლო 2024 წლის აპრილში,ბრიუსელში,პირველად გაიმართა სამმხრივი (აშშ, ევროკავშირი და სომხეთი) შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ სომხეთის პრემიერ მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ანტონი ბლინკენი და ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი[64]. ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ ევროკავშირს აქვს სერიოზული განზრახვები, ფეხიმოიკიდოს სამხრეთ კავკასიაში.

სამხრეთ კავკასიაზე საუბრისას უნდა აღიწეროს ირანის როლიც და ინტერესებიც. ირანი საუკუნეების მანძილზე ცივილიზაციური ღირებულებებით იყო წარმოდგენილი რეგიონში: ენა, რელიგია, სახელმწიფოს მართვის ინსტიტუტები, კულტურა, ყოფითი ღირებულებები დამრავალი სხვა.მაგრამ დღეს ირანი რეგიონში დიდ როლს არ თამაშობს. მას სამხრეთ კავკასიაში (სომხეთის საზოგადოებრივი განწყობის გარდა)არ ელოდებიან. თანაც, ირანს სულ სხვა საზრუნავი აქვს, რომელიც სცილდება სამხრეთ კავკასიის რეგიონს - ის დაკავებულია სირიითა და ერაყით, სადაც აძლიერებს შიიტურდაჯგუფებებს ისრაელის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბოლო პერიოდში, სამხრეთ კავკასიაში გამოიკვეთა ჩინეთის ინტერესებიც. 2023 წლის ივლისში, საქართველო და ჩინეთი აქვეყნებენ ერთობლივ გადაწყვეტილებას სტრატეგიული

[60]https://old.civil.ge/geo/article.php?id=19157
[61]https://www.eumm.eu/ge/
[62] https://ka.wikipedia.org/wiki/ ჟენევის_საერთაშორისო_მოლაპარაკებები

[63]https://www.eeas.europa.eu/euma_en?s=410283
[64]CPC | Armenia's Grand Rebalance: EU and Russia (caspianpolicy.org)

პარტნიორობის დამყარების შესახებ[65]. მიუხედავად ამისა, რეგიონში არსებული დღევანდელი გეოპოლიტიკური შეკავებითა და გაწონასწორებითარსებული status quo-ს გათვალისწინებით, ჩინეთს არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს რუსეთს და თურქეთს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იმყოფებიან რეგიონში, როგორც ცივილიზაციური ღირებულებებით ისე ინსტიტუციონალური ჩართულობით. ჩინეთის ერთადერთი კავშირი რეგიონთან არის ეკონომიკური ინვესტიციები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მეგაპროექტთან „ერთი სარტყელი, ერთი გზა“. ამ ჯაჭვში სამხრეთ კავკასია, თუმცა მნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ ერთი რგოლია.

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის მიმართ ზემოთ განხილულ სახელმწიფოებსა და ორგანიზაციებს თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები გააჩნიათ, ამ ინტერესების რეალიზაცია შეუძლებელია იქნება, თუ ისინი მორგებული არ იქნება რეგიონის რომელიმე სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და განვითარების ინტერესებზე. ყარაბაღის მეორე ომში მიღწეული წარმატების შემდეგ, აზერბაიჯანი უკონკურენტო ფავორიტი გახდა რეგიონში, როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო, უსაფრთხოებისა და დიპლომატიის მიმართულებებით. აზერბაიჯანი თურქეთის საიმედო მოკავშირეა სამხრეთ კავკასიაში. მანთავის წარმატებას, ნატოს წევრთურქეთის მხარდაჭერით მიაღწია, თუმცა თვითონ არ მიისწრაფვის არც ნატოში და არც ევროპის კავშირში. ბაქო-ანკარას ალიანსსკარგად გათვლილი და მიზანმიმართული ქორეოგრაფია აქვს ჩამოყალიბებული მოსკოვთან, რომლის სტრატეგიულ ამოცანად ჩანს, ნელ-ნელა შეავიწროვოს და განდევნოს რუსეთი აზერბაიჯანის ტერიტორიიდან. მსოფლიოში შესუსტებულ რუსეთსრეგიონში არა აქვს საყრდენი, რათა გაუწიოს დიპლომატიური თუ პოლიტიკური წინააღმდეგობა თურქეთისა და აზერბაიჯანის საერთო გეოპოლიტიკურ ქორეოგრაფიას. გადამწყვეტი თარიღი, რუსეთის გასტუმრებისა აზერბაიჯანის ტერიტორიიდან, უნდა ყოფილიყო 2025 წლის შემოდგომა, როდესაც ვადა გაუვიდოდა 2020 წლის 9 ნოემბერის სამმხრივ (რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი) ხელმოწერილ ხუთწლიან მემორანდუმს[66]. თუმცა, მიმდინარე წლის 17 აპრილს, მოულოდნელად, რუსეთმა გადაწყვიტა თავისივე ინიციატივით 19 თვით ადრე გაეყვანა თავისი სამხედრო შენაერთები, რათა არ ჩამდგარიყო ისეთ დამამცირებელ ვითარებაში, რომ აზერბაიჯანის მოთხოვნით განეხორციელებინა ეს გარდაუვალი ღონისძიება. არის თუ არა ეს მოსკოვსა და ბაქოს შორის ვაჭრობის შედეგი, ამას უახლოესი თვეები გვაჩვენებს, მაგრამ ფაქტია, რომ რუსმა სამხედროებმა, ყოველგვარი დრამატული რეაგირების გარეშე დატოვეს აზერბაიჯანის ტერიტორია. ამრიგად, აზერბაიჯანი გახდა პირველი ტერიტორია პოსტსაბჭოთა სივრცეში, საიდანაც რუსეთმა ნებით და მით უმეტეს, ნაადრევად გაიყვანა თავისი სამხედრო ძალები.

ასეთიწარმატებების პირობებში, აზერბაიჯანის ხელისუფლება ერთგვარ ეიფორიაშია, ამიტომ სომხეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებები მიმდინარეობს გამოკვეთილი უპირატესობის

[65] https://www.radiotavisupleba.ge/a/32527175.html

[66] მთიანყარაბაღშიცეცხლისშეწყვეტისშეთანხმება - ვიკიპედია (wikipedia.org)

დემონსტრაციის ფონზე. სომხეთი და აზერბაიჯანი დეკლარაციის დონეზე აღიარებენ შეთანხმების აუცილებლობას, მაგრამ რეალური ნაბიჯების გადადგმა რთულად გამოსდით. დღეს-დღეობით, შეთანხმების ტექსტის სამუშაო ვერსიაარაა გასაჯაროებული, თუმცა ცნობილია ძირითადი პოზიციები: სსრკ-ს დაშლის შემდეგ გაჩერებულისატრანსპორტო და ეკონომიკური კომუნიკაციების აღდენა;სომხეთ-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დემარკაცია/დელიმიტაცია და საბჭოთა დროს არსებული ანკლავების ბედის დადგენა, როგორც სომხეთის ისე აზერბაიჯანის ტერიტორიებზე. მიუხედავად იმისა, რომ საომარი მოქმედებები შეწყდა და მხარეებმა აღიარეს ერთმანეთის ტერიტორიული მთლიანობა, სამშვიდობო ხელშეკრულების არარსებობამ შეიძლება ნებისმიერ დროს შეცვალოს სიტუაცია შეიარაღებული დაპირისპირების სასარგებლოდ.

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს შორის, ყველაზე დრამატული ვითარება სომხეთშია, რომელიც რთული ეგზისტენციალური გამოწვევების წინაშე დგას. თუ, როგორი იქნება რეგიონი უახლოესი 5 წლის განმავლობაში დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვითარდება მოვლენები სომხეთში. ერევანი არ მალავს თავის ევროპულ მისწრაფებებს. რუსეთზე გულაცრუებულმა სომხეთის ხელისუფლებამ, განვითარების და უსაფრთხოების ვექტორი სამოქალაქო ღირებულებებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართულებით აიღო. პრემიერ-მინისტრმა ნ.ფაშინიანმა შეაჩერა მონაწილეობა რუსეთის მიერ მართულ ისეთ ორგანიზაციაში - როგორიცაა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრილების ორგანიზაცია (კუხო)[67]. ეს საკმაოდ თამამი ნაბიჯია, რადგან სომხეთი დღეს მარტოა - მას არ ჰყავს ისეთი სანდო მოკავშირე, როგორიც თურქეთია აზერბაიჯანისთვის, რომელიც რუსეთისთვის ანგარიშგასაწევი ძალაა. ის, რომ პრემიერ-მინისტრის პაშინიანის პარტიამ „სამოქალაქო ხელშეკრულებამ"საპარლამენტო არჩევნები ყარაბაღის ომში დამარცხების შემდეგ მოიგო, ნიშნავს, რომ სომხეთში დემოკრატიის პოტენციალი მაღალია. თუმცა ქვეყანა სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას. როგორც კი ერევანი და ბაქო სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერენ ხელს, მოსკოვმა შესაძლოა სომხეთში ხელისუფლების შეცვლის პროექტი წამოიწყოს - დემოკრატიული სომხეთი კრემლის ინტერესებში არ შედის. რუსეთი სომხეთში ძალაუფლების შეცვლას ნებისმიერი გზით შეეცდება.

გააგრძელებს თუ არა სომხეთი დემოკრატიზაციის გზით სიარულს, თუ მას პრორუსული კანდიდატი ჩაანაცვლებს? ეს არის ეგზისტენციალური გამოწვევა არა მხოლოდ სომხეთისთვის, არამედ სამხრეთ კავკასიისთვისაც. თუ სომხეთი დემოკრატიულ განვითარებას შეინარჩუნებს, რუსეთს ერევანზე ზემოქმედების მწირი რესურსები ექნება. მაგრამ, თუ კრემლი ერევნის წინააღმდეგობას გატეხს, მაშინ მოსკოვი გაიმყარებს ანტიდემოკრატიულ პოზიციებს სამხრეთ კავკასიაში.

რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, სომხეთმა უნდა სცადოს მოკავშირედ გაიხადოს თავისი ისტორიული მეტოქე თურქეთი. ანკარა, მიუხედავად იმისა, რომ ბაქოს უჭერს მხარს,

[67] https://ka.wikipedia.org/wiki/ კოლექტიური_უსაფრთხოების_ხელშეკრულების_ორგანიზაცია

თანმიმდევრული და მდგრადი პოლიტიკის გამტარებელია თავის რეგიონალურ პოლიტიკაში. სომხეთ-თურქეთის ურთიერთობებში პროგრესი უკვე შესამჩნევია - ცოტა ხნის წინ ანტალიაში დიპლომატიური ფორუმი გაიმართა, სადაც სომხეთის ოფიციალური დელეგაცია პატივით მიიღეს[68]. სომხეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება თურქეთისთვისაც სასარგებლო უნდა იყოს. ერევნის სურვილი მოსკოვისგან დისტანცირებაზე ანკარას უნდა აწყობდეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ თურქეთ-აზერბაიჯანის ერთობლივი ხედვა რეგიონიდან რუსეთის შევიწროვებაზე არის მიმართული.

რეგიონის სამი სახელმწიფოდან საქართველო ერთადერთია, რომელიც იმყოფება როგორც სამხრეთ კავკასიაში, ასევე შავ ზღვაზე. თურქეთიც, რომელიცწამყვანირეგიონალური მოთამაშეა, ისიც - კავკასიაშია და შავზღვაზეც. ასე რომ, გეოპოლიტიკური რეალობა ისე შეიკრა, რომ საქართველო და თურქეთიბუნებრივი მოკავშირეები უნდა იყვნენ რეგიონში, მაგრამ, როცა აზერბაიჯანში თურქეთის გაძლიერებამ შექმნა უსაფრთხოების მყარი საფუძვლები რუსეთის იმპერიული მიზნების შესაკავებლად, სწორედ მაშინ, საქართველოს ხელისუფლება იკავებს უცნაურ ნეიტრალურ პოზიციას და ამით იცავს რუსეთს გარდაუვალი განდევნისაგან რეგიონის ფარგლებს გარეთ.

საქართველოს კანონმდებლობით[69], რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი.შესაბამისად, ვიდრე არ განხორციელდება საქართველოს ტერიტორიების სრული დეოკუპაცია, საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობისთვის მიუღებელი იქნება რუსეთთან მეტ-ნაკლებად კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა. მოსკოვის მიმართ საქართველოს ხელისუფლების შესაძლო პოზიტიური აქტიურობა აუცილებლად დააზიანებს საქართველოს ხელისუფლების რეპუტაციას საკუთარი მოქალაქეების (ამომრჩევლების) თვალში, კრემლს, რათა არ ამყოფოს მუდმივი დარტყმის ქვეშ ყოფნის მდგომარეობაში საქართველოს ხელისუფლება, ურჩევნია ქართული ოცნება არ იყოს ზედმეტად პროაქტიური რუსეთთან დაახლოების მიმართულებით. რუსეთის პოლიტიკისთვის უფრო მნიშვნელოვანია, თუ „ქართული ოცნების“ მთავრობა მეტ ყურადღებას გადაიტანს ევროკავშირისა და ნატოს ღირებულებებისა და ინსტიტუტების წინააღმდეგ მიზანმიმართულ რიტორიკაზე და მოქმედებებზე. ბუნებრივია, თბილისის ასეთი ბუნდოვანი პოლიტიკა აშფოთებს სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებით დაინტერესებულ საერთაშორისო პარტნიორებს. საქართველოს მთავრობის მოქმედებები მათთვის საეჭვო და გაუგებარია. ვერც ევროკავშირი, ვერც ნატო, ვერც თურქეთი და აშშ ვერ აღიქვამენ საქართველოს სანდო და თანმიმდევრულ პარტნიორად, რომლის გეოპოლიტიკური პოზიციონირება, სულ უფრო და უფრო, რუსეთის მიერ განსაზღვრულ კოორდინატებში ჯდება. ცხადია, რომ დემოკრატიული ღირებულებებისა და ინსტიტუტების უგულვებელყოფა აუცილებლად გამოიწვევს მნიშვნელოვან დაძაბულობას საზოგადოებაში და გააღრმავებს

[68]https://armenpress.am/eng/news/1131611/
[69]https://matsne.gov.ge/ka/document/view/19132?publication=9

გაუცხოებას უცხოელ პარტნიორებში. ევროკავშირი და ნატო ჯერ კიდევ ელოდებიან არსებითი რეფორმების გატარებას მთელ რიგ სახელმწიფო ინსტიტუტებში და დარგებში.

აღწერილი ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბოლო 4-5 წლისგანმავლობაშისამხრეთკავკასიაშიგანვითარებულმაპროცესებმა არსებითად შეარყია რუსეთის 200 წლიანი ჰეგემონია და ახალი გეოპოლიტიკური კონფიგურაცია ჩამოაყალიბა რეგიონში. შეცვლილ რეალობაშისაქართველოს ტერიტორიაზე მოუგვარებელი კონფლიქტები ტრანსფორმაციის დამატებით განზომილებებს და პერსპექტივებს იძენენ.როგორც ჩანს, სამხრეთ კავკასიის ახალი კონცეფცია უფრო ევროპული და ევრო-ატლანტიკური ღერძისკენ გადაიხრება. შესაბამისად, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ტრანსფორმაცია და საბოლოო გადაწყვეტაც გადავა ევროკავშირში და ნატოშიაპრობირებულ კონფლიქტებისტრანსფორმაციისსტანდარტებზე, რომლებიც პრინციპულად გამორიცხავენ კონფლიქტების მოგვარების ძალისმიერ მეთოდებს.ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე მყოფმა საქართველომ, თავისი პარტნიორი სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების მხარდაჭერით, უნდა შეუქმნან ცხინვალსა და სოხუმს უსაფრთხოებისა და განვითარების მყარი გარანტიები. თბილისი უნდა იყოს პრინციპულად დაინტერესებული რათა დაანახოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ევროკავშირთან დაახლოების ყველა უპირატესობა.

კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების სტრატეგიის გასამყარებლად, ქართულმა მხარემ პირველ რიგში უნდა გადადგას ოთხი მნიშვნელოვანი ნაბიჯი: უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მოსკოვს მკაფიოდ მოეთხოვოს შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ხელმოწერილი ექვს პუნქტიანი სამშვიდობო გეგმით აღებული ვალდებულება - დააბრუნოს შეიარაღებული ძალები სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზზე. ამავე მიმართულებით, თბილისმა რეგულარულად უნდა შეახსენოს საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ როგორც 2022 წლის რუსეთის შეჭრა უკრაინაში, ისე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიარის რუსული ნეოიმპერიალისტური პოლიტიკის განხორციელება და ის, რაც უკრაინაში ხდება, არის კრემლის პოლიტიკის გაგრძელება საქართველოში 2008 წლის აგვისტოში დაწყებული აგრესიისა.

მეორე ნაბიჯი, რაც საქართველომ უნდა გადადგას კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით არის ევროპული ჩართულობისგაძლიერება. კრემლის მიერ ჯარების გაყვანის მოთხოვნა არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ თბილისსსურს ცხინვალთან პირისპირმარტო დარჩეს და განახორციელოს რევანში. საქართველოს ხელისუფლებამ შეიძლება შესთავაზოს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას გარდაიქმნას სამშვიდობო ძალებად, რათა დაუდგნენ უსაფრთხოების გარანტორად სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს.

მესამე ნაბიჯი - მას შემდეგ რაც რუსეთი შეასრულებს ექვსპუნქტიანი სამშვიდობო გეგმით აღებულ ვალდებულებას და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია უზრუნველყოფს უსაფრთხოების პირობებს ოსური და აფხაზური მხარეებისთვის - თბილისმა მზადყოფნა უნდა გამოთქვას, განიხილოს ცხინვალთან და სოხუმთან ძალის არ გამოყენების თაობაზე შეთანხმების განხილვის დაწყება.

მეოთხე ნაბიჯი უნდა იყოს საქართველოსა და ნატოს წევრ თურქეთთან უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებში თანამშრომლობის განმტკიცება.

ამ ოთხი ნაბიჯით, სამხრეთ კავკასიის ახალ რეგიონულ გადალაგებაში საქართველომ, ცხინვალსა და სოხუმს უნდა შეუქმნას უსაფრთხოებისა და განვითარების მდგრადი და შეუქცევადი პერსპექტივები.

ყოფილი "სამხრეთ ოსეთი" თუ ფანტომური " სამაჩაბლო" – სახელდების პრობლემა ქართულ-ოსურ კონფლიქტში

მიხეილ ჯახუა

თბილისი, 2024

შესავალი

ქართულ-ოსური კონფლიქტის ერთ-ერთი მახასიათებელი ფაქტორია მხარეთა პოზიციების შეუთავსებლობა კონფლიქტური ტერიტორიის სახელდებასთან დაკავშირებით. კონფლიქტის სხვადასხვა ეტაპზე ცვალებადი დამოკიდებულება არსებობდა სახელდებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ქართულ მხარეს ხშირად ვხვდებით საჯარო სივრცეში ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ მიმართ გამოთქმულმიუღებლობასდა სხვადასხვა ალტერნატიული სახელწოდებებით ჩანაცვლების მცდელობას.მეორეს მხრივ ქართულ მხარეს პერიოდულად აქტიურდება ძალისხმევა კონფლიქტის ზონის მიმართ ტერმინის „სამაჩაბლოს“ დამკვიდრების მიზნით, რაც ასევე განსაკუთრებულ წინააღმდეგობას იწვევს ოსურ საზოგადოებაში, თუმცა ქართულ მხარეს გარდა სამაჩაბლოსი მთელი რიგი სხვა ტერმინები გამოიყენება სამხრეთ ოსეთის ალტერნატივად. წინამდებარე სტატიის მიზანს წარმოადგენს სტრუქტურულად გაანალიზდეს, როგორ დამკვიდრდა ესა თუ ის ტოპონიმი და რა დგას მათ მიმართ არსებული პროტესტის უკან, რა გავლენას ახდენს ეს პროცესი მთლიანად ქართულ-ოსურ კონფლიქტზე.

საჯარო სივრცეში ხშირია ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ერთგვაროვანი განხილვა და ამ ორ კონფლიქტს შორის არსებული განსხვავებული მდგომარეობის არ/ვერ დანახვა. მათ შორის, არ არის დანახული სახელდება, როგორც ამ ორი კონფლიქტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი, შესაბამისად მისი გათვალისწინება არ ხდება როგორც კონფლიქტური რეგიონების მიმართ დამოკიდეულებაში, ასევე იმ გზავნილებში, რომლებიც იგზავნება შესაბამისი რეგიონების მაცხოვრებელთათვის. სახელწოდება „აფხაზეთი“ერთმნიშვნელოვნად მისაღები ტოპონიმური ტერმინია, როგორც ქართული ისე აფხაზური მხარისთვის, ცხადია მხარეები ამ სახელწოდებაში განსხვავებულ სტატუსს მოიაზრებენ, თუმცა თავად ტერმინი უდავოა, რაც შეეხება ოსურ-ქართულ კონფლიქტს, აქ თავად ტერიტორიის სახელდებაც კი ცალკე დავის საგანია, განსაკუთრებით ქართული მხრიდან სხვადასხვა პერიოდსა და კონტექსტში განსხვავებული ტერმინები დამკვიდრების მცდელობა შეიმჩნევა.

ერთ-ერთი მნიშნელოვანი ფაქტორი, რაც სახელწოდებათა მიმართ დამოკიდებულებას განაპირობებს არის მათი ჩამოყალიბების პროცესი და ის კონტექსტი, რა კონტექსტშიც ხდებოდა მათი შემოღება. ტერმინის დამკვიდრების პროცესს უკავშირდება მათ მიმართ არსებული როგორც საზოგადოებრივი მიუღებლობა, ასევე საზოგადოებრივი შიშები.

სტატიის მიზანს არ წარმოადგენს პროცესების განსჯა და შეფასება, ასევე ქართულ-ოსური ურთიერთობების სრული ისტორიისა და დინამიკის სრულფასოვნად წარმოჩენა, არამედ იმის კვლევა,თუ რა გავლენას ახდენს კონფლიქტის დინამიკაზე, მისი ტრანსფორმაციის შესაძლებლობების გაჩენაზე ამ ტერიტორიების სახელწოდება როგორც ქართულ, ისე ოსურ საზოგადოებაში, რამდენად არის სახელდება ტრანსფორმაციის შემაფერხებელი ფაქტორი. შესაბამისად მთელი რიგი ტრაგიკული, არსებითი და მნიშვნელოვანი პროცესები გადმოცემულია მხოლოდ ნაწილობრივ, კვლევის მიზნების კონტექსტში.

„სამხრეთ ოსეთი“ - ტერმინის ფორმირების ისტორია.

ქართულ საზოგადოებაში იმთავითვე პროტესტს და მიუღებლობას იწვევს როგორც სამხრეთ ოსეთის, ასევე ზოგადად ტოპონიმ „ოსეთის“ გაჩენა ქართულ სინამდვილეში.

ამ ტერმინების შემოღება ემთხვევა რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების ტერიტორიაზე კონტროლის დამყარების პერიოდს. ქართულ სამეფო-სამთარვროების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა საუკუნეების განმავლობაში განსხვავებული იყო, თუმცა მათთვის არ იყო დამახასაიათებელი შედგომში „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქით“ მოცული გეოგრაფიული არეალის ერთ, განცალკევებულ ერთეულად წარმოჩენა. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ოსური მოსახლეობის არსებობა, განსაკუთრებით კავკასიონის სამხრეთ კალთებზე საუკუნეების განმავლობაში ფიქსირდება, ასევე ისტორიულად ვერ ვხვდებით რომელიმე ერთეულის სახელდებაში აღნიშნულის მოვლენის ასახვას ტოპონიმ „ოსეთის“ სახით.

მხოლოდმე-19 საუკუნის დასაწყისიდან, რუსეთი იმპერიის ჩინოვნიკთა სხვადასხვა მიმოწერასა და ანგარიშებში ჩნდება ტოპონიმი „ოსეთი“, რომლითაც მოიხსენიება დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ოსებით დასახლებული მთიანი რაიონები.[70]ასევე მრავლად ვხვდები შემდეგ ფორმულირებებს: „ქართული ოსეთი“, „ქართლის ოსეთი“, „ქართველი ოსები“, „ჩრდილოეთ ქართლის ოსები“, „კავკასიის მთებში მცხოვრები ქართველი ოსები“, „საქართველოს კუთვნილი ოსები“, „იმერელი ოსები“ ან „იმერეთში მცხოვრები ოსები“, ამ პროცესს ზოგიერთი მლვლევარი მიაწერს ადგილობრივ, ენდემურ ტოპონიმიკაზე „ოსეთის“ ტერმინის ჩაშენების მცდელობას.[71]სხვადასხვა წყაროში უკვე 1830 წლიდან ჩნდება ტოპონიმების წყვილი "სამხრეთ ოსეთი" და "ჩრდილოეთ ოსეთი".[72]

---

[70]გენერალ-ლეიტენანტ კარლ კრონინგის 1802 წლის 26 მარტის ანგარიში რუსეთის იმპერატორ.

[71] ОСЕТИНСКИЙ ВОПРОС; ВАХТАНГ ИТОНИШВИЛИ "ЮЖНАЯ ОСЕТИЯ - В ЦЕНТРАЛЬНОЙ ГРУЗИИ?!"; Издательство "Кера – XXI"; Тбилиси; 1994

[72]1830 წლის სექტემბერში გაზეთში "თიფლისის ცნობები" ("Тифлисские ведомости" (1830, № 72) ქვეყნდება ანონიმური ავტორის სტატია "კორესპონდენცია, წერილები ოსეთიდანhttps://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/191304

მე-19 საუკუნეში კვლევისთვის საინტერესო ტერიტორიის სახელწოდება-„ოსეთის“ ფორმირებისა და ოფიციალურ დოკუმენტებში ასახვა დაკავშირებულია 1842 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის შედეგად თბილისის გუბერნიის ფარგლებში „ოსეთის ოკრუგის“ ჩამოყალიბებასთან, რომელმაც იარსება 1858 წლამდე[73].

ოსური ადმინისსტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნისა და სახელდება „სამხრეთ ოსეთის“ დამკვიდრების მცდელობასადგილი ჰქონდასაქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921) პერიოდშიც. ზოგადად ამ პერიოდში შენარჩუნდა რუსეთის იმპერიის დროს დამკვიდრებული ტერიტორიული მოწყობა. 1918 წლის სექტემბრიდან„ოსების ეროვნულმა საბჭომ“ ოსებისთვის ცალკე ადმინისტრაციული საოლქო ავტონომიის მოთხოვნა წამოაყენა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულმა კომისიამმთავრობას ოსებისთვის საერობო ერთეულის შემოღების შესახებ 1919 წლის ივლისში საგანგებო პროექტი წარუდგინა, რომლის მიხედვით, გორის, რაჭისა და შორაპნის მაზრებიდან ჩამოჭრილი ტერიტორიების საფუძველზე, განსაკუთრებული „ჯავის სამაზრო“ ერთეულის შექმნა იყო გათვალისწინებული.

საკითხი იხილებოდა საუწყებათაშორისო კომისიის მიერ, თუმცა ამგვარი ტერიტორიულ-თვითმმართველობითი ერთეულის შექმნა სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოსთვის მიუღებელი აღმოჩნდა.საბოლოოდ იმჟამად ოსთა ცალკე ადმინისტრაციული სამაზრო ერთეულის შექმნა საუწყებათაშორისო კომისიამ მიუღებლად ჩათვალა.

ამავე პერიოდში, ოსთა ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას წარუდგინა “კანტონ სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციის პროექტი”, რომლის პირველსავე მუხლში აღნიშნული იყო, რომ “სამხრეთ ოსეთი წარმოადგენს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიურ ნაწილს”, დოკუმენტი საქართველოს ფარგლებში ოსებისთვის განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი სახელმწიფო წარმონაქმნის მქონე კანტონის შექმნას გულისხმობდა, რომელიც შვეიცარიულ-კონფედერაციულ მოდელს ჰგავდა. ქართველმა კანონმდებლებმა წარმოდგენილი პროექტი მიუღებლად მიიჩნიეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციამ, მხოლოდ სამი ავტონომიური ერთეული გაითვალისწინა: აფხაზეთის (სოხუმის) ავტონომიური ოლქი; სამუსლიმანო საქართველო (ბათუმის მხარე) და ზაქათალას ოლქი.[74]მათ შორის არ აღმოჩნდა არც „სამხრეთ ოსეთი“ და არც მანამდე მოაზრებული „ჯავის სამაზრო“.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, საქართველოს ტერიტორიული მოწყობა შეიცვალა. მხოლოდ ამის შემდგომ ხდება ნორმატიულ დონეზე ტოპონიმ „სამხრეთ ოსეთის“ შემოღება. 1922 წლის 22 აპრილს, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბჭოებისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებული დეკრეტი №2-ით

[73]საკითხს ერთგვაროვნად აღწერენ და უთითებენ, როგორც ქართული ოფიციალური უწყებები.რეგიონის შესახებ - SMR.GOV.GE - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიИстория. Официальный сайт Администрации Президента Республика Южная Осетия (south-ossetia.info)

[74]საქართველოს კონსტიტუცია (მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს) | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.[75]აღნიშნული სტატუსი და სახელწოდება უცვლელად ნარჩუნდება ეროვნული მოძრაობის პერიოდამდე.

სახელდების ფაქტორი ეროვნული მოძრაობების პერიოდში (ტერმინთა ომი)

ქართულ საზოგადოებაში ფართოდ დამკვიდრებული ტერმინი „სამაჩაბლო“, მისი რეგიონალური სახელდების მნიშვნელობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმოადგენს ეროვნული მოძრაობის ეპოქის პირმშოს. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო პერიოდში, ეროვნული მოძრაობის გააქტიურების პარალელურად, აქტუალური ხდება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის როგორც სტატუსის, ასევე მისი სახელწოდების საკითხი, ამასთან ეს პროცესი ატარებს ორმხრივ (თბილისსა და ცხინვალში) ხასიათს.

სახელდების პრობლემისთვის არსებითი არ არის თუ რომელ მხარეს დაწყებულმა პროცესებმა განაპირობა შემხვედრის პროცესი მეორე მხრიდან. მხარეთა შორის პოზიციათა დაპირისპირება დაიწყო რეგიონის სტატუსთან დაკავშირებით პროცესებით, რომელიც შემდგომში გადადის სახელდებების შეუთავსებლობის მდგომარეობაში.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად“ გარდაქმნის შესახებ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში[76].

მოგვიანებით იწყება სახმრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსისა და პარალელურად თავად სახელდება „სამხრეთ ოსეთის“ საპირისპირო პროცესები. აქართული მხრიდან ღნიშნული პროცესების დაკვირვება შეგვიძლია იმ პერიოდის პუბლიკაციებით, სადაც ნელ-ნელა ქართული საზოგადოებისთვის ხდება ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ ჩანაცვლება რეგიონის ალტერნატიული სახელწოდების სახით შემოსული ტერმინით, მათ შორისაა „სამაჩბალო.

1990 წლის 16 მარტს, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოში“ ქვეყნდებასტატია „სიძულვილის სინდრომი“. იგი წარმოადგენს ერთგვარ გამოხმაურებას იმ პერიოდში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მიმდინარე პროცესებზე, სტატიაში სამრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქზე საუბრისას მითითებით ან ე.წ. ან იმავე არსისგამოსახატად ჩასმულია ბრჭყალებში, ხოლო „ეს მიწა, უძველეს ქართულ კუთხე სამაჩაბლო...“-დ არის მოხსენიებული,[77]ამ იდეის განვითარება ხდება ეტაპობრივად.

სტატუსთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტამდე, ჯერ ისევ სადაოდ არ მიიჩნევა ტერიტორიის სახელწოდება, შესაბამისად გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1990 წლის 9 დეკემბრისნომერში ქვეყნდება „საქართელოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა სახმრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობისადმი“. სტატია ერთგვარი მოწოდებაა მოსახლეობისადმი, რომ არ მიიღონ მონაწილეობა დაგეგმილ, პრეზიდიუმის პოზიციით, არალეგიტიმურ არჩევნებში, მასში გამოყენებულია რეგიონის სახელწოდება „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“.[78]

---

[75]Iverieli: Декрет №2 Об образовании автономной области Юго-Осетии (nplg.gov.ge)
[76]4-11.jpg (402×556) (kvaisa.ru)
[77]ჟურნალი „ინდიგო’, 2019 წლის სექტემბერ-ოქტომბერი, N47.
[78]Iverieli: საქართველოს რესპუბლიკა N3 (nplg.gov.ge)

თუმცა უკვე რამდენიმე დღეში, სამხრეთ ოსეთში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, იმავე გაზეთში უკვე განსხვავებულ რიტორიკას ვხვდებით. 1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა კანონი,რომლითაც რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთისს ავტონომიური ოლქი. აღნიშნული კანონის მიღებას, წინ უსწრებდა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ზვიად გამსახურდიას გამოსვლა, რომელშიც იგი მიმოიხილავს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ შექმნასთან დაკავშირებით როგორც სამართლებრივ, ასევე ისტორიულ წანაძღვრებს. წინამდებარე სტატიის მიზნებისთვის საინტერესოა გამოსვლის ის ნაწილი, სადაც ზვიად გამსახურდია უთითებს, რომ: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნამ შელახა ისტორიული სამაჩაბლოს, საფალავანდოსა და ქსნის საერისთაოს ქართველი მოსახლეობის ინტერესები...“ ამდენად სამართლებრივ ნაწილში დადგენილება უბრალოდ აუქმებს ავტონომიური ოლქის სტატუსს, თუმცა კანონის მიღების პროცესში გამოსვლას, უკვე შემოაქვს ამ პროცესით ერთგვარი ისტორიული სამართლიანობის აღდგენის ნარატივი და ხელს უწყობს ისტორიული სენტიმენტების გაღვივებას ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ, სათემო სუბიექტებზე მითითებით.[79]

90-ნი წლების დასაწყისში კონფლიქტის ზონის სახელდებასთან დაკავშირებით ქართულ პრესაში განვითარებული დინამიკა გვიჩვენებს, რომ სამხრეთ ოსეთის ყოფილ ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის პირველივე ნიშნების გაჩენისთანავე ტერმინი “სამხრეთ ოსეთი” (მისი ნეიტრალური პოლიტიკურადმინისტრაციული მნიშვნელობით) ნელ-ნელა ქრება ქართული პოლიტიკური, კულტურული, სამეცნიერო ელიტის, ჟურნალისტების დისკურსიდან და იწყება მისი ჩანაცვლება ალტერნატიული ტერმინებითა და სახელწოდებებით, რომლებიც თავიანთ თავში იდენტობის განსხვავებულ კატეგორიებს ატარებენ: სამაჩაბლო, შიდა ქართლი, ცხინვალი და ა.შ.[80]

1990-1991 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში[81] ქართულ-ოსური კონფლიქტის რეპრეზენტაციისას ძირეული ელემენტი იყო სწორედ ის ტერმინები, რომლებმაც ჩაანაცვლეს ტერმინი “სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი”. ეს ჩანაცვლება, ხათუნა მაისაშვილის სადოქტორო ნაშრომში „ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაცია 1990-1991 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში“ შემდეგ მიზნებისთვის აქვს ფორმულირებული:

- ეს ალტერნატიული ტერმინები წარმოადგენდა იმ ნიშან-სიგნალს, რომელიც შეტყობინების მიმღებისგან შესაბამის პასუხს და რეაქციას მოითხოვდა;
- იგი ეხმარებოდა სახელისუფლებო ელიტას საზოგადოებრივი მხარდაჭერის მობილიზაციის მიზნით “სეპარატიზმის წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლაში”;
- იგი წარმოადგენდა მაგალითს ოფიციალური ისტორიის ჩანაცვლებისა არაოფიციალური, “ნამდვილი” ისტორიით;

იმ სიტყვებისა და ნიშნების მრავლობითობა, რომლებმაც შეცვალეს ტერმინი “სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი” წარმოადგენდა ეროვნულ-იდენტობითი დისკურსის გამამყარებელ ფაქტორს.შესაბამისად ამ საფუძველზე დაყრდნობით, 1990-1991 წლების ქართული ბეჭდური

[79] 1990 | ISNC

[80] ხათუნა მაისაშვილის სადოქტორო ნაშრომში „ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაცია 1990-1991 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში“

[81] მკვლევარს აღებული აქვს სტატიები გაზეთებიდან - „კომუნისტი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „მამული“, „7 დღე“ , „დრონი“.

მედიის კომუნიკაციური სტრატეგიები მიმართულია პატრიოტული მოტივაციის, ამ მიწასთან პატრიოტული მიბმულობის გამყარებისკენ ქართველთა მხრიდან, და ნაციონალისტური მისწრაფებების დაშლისაკენ სამხრეთელ ოსთა მხრიდან.[82]

ტერმინ „სამაჩაბლოს“ დამკვიდრება

ზვიად გამსხურდიას 1991 წლის 11 დეკემბრის გამოსვლაშივე მითითებულ ფეოდალური სუბიექტების ჩამონათვალში, მხოლოდ ერთ-ერთია სამაჩაბლო. თუ გავაანალიზებთ სხვადასხვა ისტორიულ წყაროებს, „სამაჩაბლო“ ერთ-ერთი საბატონოს აღმნიშვნელი ტერმინია და ისეთი ცნებების იდენტურია, როგორიცაა „საბარათიანო“, „საამილახვრო“, „საწერეთლო“ და ა.შ. „სამაჩაბლო“ მომდინარებს აჩაბეთში (ან აჩაბეთის ხეობაში) დაწინაურებული მაჩაბლის ფეოდალური სახლისგან (აჩაბეთი → მაჩაბელი → სამაჩაბლო) და ქართლის საერისთავოს ცალკეულ საბატონოებად (ქსნის საერისთავო, არაგვის საერისთავო, საციციანო, საამილახვრო, სამუხრანბატონო, საჯავახო, საფალავანდიშვილი და სხვ) დაშლის შემდეგ მათ შორის ერთ-ერთი იყო. არსებულ წყაროებზე დაყრდნობით „სამაჩაბლო“ ძირითადად მოიცავდა დიდი ლიახვის ხეობის მთისწინა და მთიან რაიონებს, ყვირილისა და გრამულის ხეობების ცალკეულ მონაკვეთებს და დვალეთის (კერძოდ ზროგის ხეობის) გარკვეულ ნაწილს, რომელიც ამჟამად შედის "ჩრდილოეთ ოსეთის" შემადგენლობაში. ამასთან, „სამაჩაბლო“ პირდაპირ ესაზღვრებოდა ქსნის საერისთაოს, რაჭის საერისთაოს, საფავლენიშვილოს, საფალავანდიშვილოს, საწერეთლოს, არაგვის საერისტაოს (დვალეთის მიდამოებში) და სავახტანგოს წოდებულ ტერიტორიულ ერთეულს. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ისტორიული „სამაჩაბლოსა“ და შემდგომში შექმნილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის თანაფარდობის გამოსაკვეთად გამოდგება შემდეგი სქემატური ილუსტრაცია[83]:

[82]ხათუნა მაისაშვილის სადოქტორო ნაშრომი „ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაცია 1990-1991 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში“

[83] ОСЕТИНСКИЙ ВОПРОС; ВАХТАНГ ИТОНИШВИЛИ "ЮЖНАЯ ОСЕТИЯ - В ЦЕНТРАЛЬНОЙ ГРУЗИИ?!"; Издательство "Кера – XXI"; Тбилиси; 1994

მიუხედავად პრეზიდენტ გამსახურდიას ზემოთ ხსენებულ გამოსვლაში მოცემული ისტორიული აღწერისა და მიუხედავად იმისა რომ სქემატურად თვალსაჩინოა, რომ „სამაჩაბლო“ არ იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქით მოცული ფეოდალური ერთეულებიდან უდიდესი, მაინც მალევე სწორედ ის მკვიდრდება, როგორც მთელი რეგიონის კრებსითი სახელი. ეს ტერმინი უკვე მკვიდრდება, როგორც საზოგადოებრივად მეტად მისაღები და მხარდაჭერილი[84].

ამ პერიოდისათვის ტერმინის „სამაჩაბლოს“ მიმღებლობა ყალიბდება საზოგადოებრივ დონეზე და პოლიტიკური ოპონირების მიუხედავად იგი ეჭვქვეშ მაინც არ დგება. ავტონომიური ოლქის გაუქმების გადაწყვეტილების შემდეგ, გადაწყვეტილების მიმართ კრიტიკული განცხადება გაავრცელა საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმმა, რომელიც ოპოზიციაში ედგა ზვიად გამსახურდიას "მრგვალი მაგიდის" ხელისუფლებას. მასში ნათქვამია, რომ “საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება, მიუხედავად მისი სამართლიანობისა, ამ მომენტისთვის არის გაუმართლებელი”. ამასთან ეროვნული კონგრესი

[84]ზვიად გამსხურდიას 1990 წლის 16 დეკემბრის სატელევიზიოს გამოსვლა;გაზეთისაქართველოსრესპუბლიკა. №10. 1990 | INDIGO

ასევე უთითებს, რომ „მივესალმებით სამჩაბლოს ტერიტორიაზე არსებული უკანონო ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულის გაუქმების ფაქტს...“[85]

ტერმინმა „სამაჩაბლო“ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ქართულ-ოსურიკონფლიქტის შედეგად დაწყებული სამხედრო დაპირისპირების პერიოდში. საომარი მოქმედებების ქრონიკებში ძირითადტერმინს სწორედ სამაჩაბლო წარმოადგენს, განსაკუთრებით ეს იგრძნობა მსხვერპლთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სტატიებში[86], ასევე რეგიონიდან დევნილებთან მიმართებით.[87] შესაბამისად საომარი მოქმდებებსა და მის მსხვერთან მიმართებით მაშინვე ტერმინი სამაჩაბლო გამოდის წინა პლანზე და ომის შედეგებიდან გამომდინარე, იძენს დამატებით განზომილებას, ფაქტობრივადსაომარი მოქმედებების სახელდება სწორედ „სამაჩაბლოს ომად“ მკვიდრდება.

დღესდღეობით საკანონმდებლო დონეზე სამაჩაბლო არ გამოიყენება, როგორც რეგიონის აღმნიშვნელი ტერმინი, იგი არც კონფლიქტებთან დაკავშირებულ ძირითად აქტებსა და დოკუმენტებშია ნახსენები. ტერმინი რჩება მხოლოდ საომარი მოქმედებების მსხვერპლთან და მისგან გამომდინარე სოციალურ პროგრამებში. დოკუმენტები, სადაც ტერმინი კვლავ მოქმედია, ესაა ცალკეული მუნიციპალიტეტების მიერ დამტკიცებული მუნიციპალური ბიუჯეტები, რომლებშიც საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა ოჯახის წევრების ან დევნილთა დახმარების პროგრამებია გათვალისწინებული, მათში მოხსენიებულია „აფხაზეთი და სამაჩაბლო“, როგორც განმარტება თუ რა მოიაზრება ტერიტორიული მთლიანობისთვის მიმდინარე საომარი მოქმედებების ადგილად.[88]

ამ სახელწოდების შემოღება ეროვნული მოძრაობის დროს ისტორიულ სენტიმენტებზე ბმით, საზოგადოების ისტორიული წარსულის მიმართ სოლიდარობისა და გაერთიანების სურვილის გაღვივებით იყო ნაკარნახევი. საბჭოთა მემკვიდრეობისგან თავის დაღწევის პროცესის ნაწილს წარმოადგენდა მის წიაღში დამკვიდრებულად მიჩნეული ტერმინის „სახმრეთ ოსეთის“ აღმოფხვრა, შესაბამისად გაჩნდა აუცილებლობა დამკვიდრებულიყო რეგიონის ალტერნატიული, კრებსითი სახელწოდება.

შესაბამისად პოლიტიკური აქტორებისგან და მათგან გამომდინარე მედიაში მიმდინარეობს „სამაჩაბლოს“, როგორც რეგიონის, ისტორიული ქართული სახელწოდების წინ წამოწევა, რაც დაეფუძნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქით მოცულ ტერიტორიაზე ამ სახელწოდების ფეოდალური ერთეულის არსებობის შესახებ ისტორულ და საზოგადოებრივ მეხსიერებით ინფორმაციას.

---

[85]საქართველოსეროვნულიკონგრესისპრეზიდიუმის 1990 წლის 14 დეკემბრის განცხადება. https://timeline.isnc.ge/timeline/1990

[86]გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ 1991 წლის განმავლობაში ქვეყნდება ომის ქრონიკების ამსახველი სტატიებში რეგიონის კრებსით სახელწოდებად ძირითადად გამოიყენება ტერმინი სამაჩაბალო.

[88]„ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის განსაზღვრის შესახებ” | სსიპ ”საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” (matsne.gov.ge)
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ | სსიპ ”საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” (matsne.gov.ge)
თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ | სსიპ ”საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” (matsne.gov.ge)

სამაჩაბლოს სახელდება თანამედროვე საზოგადოებრივ ნარატივში და 90-ნი წლების ნარატივში განსხვავებულ წინაპირობებს უკავშირდება. თანამედროვე საზოგადოებრივ ნარატივში, მათ შორის ახალგაზრდებში, მსჯელობაში ტერმინი სამაჩაბლო უკავშირდება არა იმდენად ისტორიულ წყაროებს, არამედ ეროვნული მოძრაობის პერიოდის სენტიმენტებს. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული მოძრაობის პერიოდში ტერმინ „სამაჩაბლოს" გამოყენება წარმოადგენს თანამედროვე მსჯელობისას მისი, როგორც რეგიონის კრებსითი სახელდების გამოყენების ლეგიტიმაციის წყაროს. სხვადასხვა დროს ეროვნული მოძრაობის სენტიმენტების გამოყენება ხდება ცალკეული პოლიტიკური აქტორების მხრდიდან, როგორც თანამედროვე სახელმწიფოს დამფუძნებლებთან იდეურ-ღირებულებითი მემკვდრეობითობის დასაბუთება. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს პრემიერ-მინისტრად დამტკიცების პროცესში, ირაკლი კობახიძის მიერ აფხაზეთთან ერთად ტერმინ „სამაჩაბლოს" გამოყენება, ეს უფრო მეტად უნდა გავიგოთ, როგორც პოზიტიური საზოგადოებრივი განწყობის მოპოვების მცდელობად, ვიდრე რაიმე გააზრებული სტრატეგიის ნაწილად[89].

ტერმინები სამშვიდობო შეთანხმებებსა და ინიციატივებში

კონფლიქტური რეგიონის სახელწოდების მიმართ დამოკიდებულება კარგად ვლინდება მხარეთა შორის სხვადასხვა დროს გაფორმებულ დოკუმენტებსა და ქართულ მხარის მიერ გაჟღერებულ სამშვიდობო ხედვებსა და ინიციატივებში.

აქტიური საომარი მოქმდებების დასრულებისკენ მიმართულ პირველ პროცესში, 1992 წლის 10 ივნისს შევარდნაძე-გალაზოვის შეხვედრის შედეგად გაფორმებულ ოქმში, საბრძოლო მოქმედებების ზონა მოხსენიებულია „ქართველთა და ოსთა შორის კონფლიქტის ზონად"[90]. ანალოგიურად, ამავე წლის 24 ივნისს სოჭში, საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის ფორმდება **შეთანხმება** „საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ", მასშიც არ არის მოხსენიებული უშუალოდ კონფლიქტის ზონის რომელიმე სახელდება და ზოგადი მითითებაა, რომ მხარეები ისწრაფვიან ყოველმხრივ აღმოფხვრად კონფლიქტი ქართველებსა და ოსებს შორის, უფრო მეტიც დოკუმენტი საუბრობს კონფლიქტში ჩართულ მხარეებზე, თუმცა არ ასახელებს მათ.[91] შესაბამისად ორივე შეთანხმებაში მაქსიმალურად არის თავიდან არიდებული რომელიმე მხარისთვის მიუღებელი ან/და ახალი უთანხმოების გამომწვევის ტერმინის გამოყენება.

2004 წლის 21 სექტემბერს, პრეზიდენტი სააკაშვილის გაეროს ტრიბუნიდან აჟღერებს სამშვიდობო ინიციატივას, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტების ახალი, „ეტაპობრივად დარეგულირების გეგმას". გაჟღერებულ გეგმაში საუბარია მშვიდობიანი გზით „სახმრეთ ოსეთის" ინტეგრაციაზე საქართველოს შემადგენლობაში[92].

2004 წლის 5 ნოემბერს ქ. სოჭში ზურაბ ჟვანიასა და ედუარდ კოკოითის მონაწილეობით ხელმოწერილ განცხადებაში, შეხვედრის მონაწილეები შეშფოთებითა და წუხილით

---

[89] „ქართული ოცნების" ყრილობა - ირაკლი კობახიძის გამოსვლა - 1TV

[90] საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. ა. შევარდნაძისა და ჩრდილოეთ ოსეთის სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ა. ხ. გალაზოვის შეხვედრის ოქმი.https://timeline.isnc.ge/ge/timeline/1992

[91] Соглашение о принципах урегулирования грузино-осетинского конфликтаhttps://web.archive.org/web/20111006192516/http://www.noar.ru/files/content/82.pdf

[92] Civil Georgia | Saakashvili's Speech at UN General Assembly

ადასტურებენ, რომ „...სამხრეთ-ოსეთში მომხდარი შეიარაღებული შეტაკებების შედეგად მოწესრიგების მშვიდობიანი პროცესი ჩაშლის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მათ ღრმა სინანული გამოთქვეს იმ მსხვერპლის გამო ადგილი ჰქონდა მხარეებმა მათ შორის მშვიდობიან მოსახლეობაში“[93], განცხადებას ხელს აწერენ საქართველოს მხარის სახელითზ. ჟვანია და სამხრეთ ოსეთის მხარის სახელით ე. კოკოითი.

სამშვიდობო ინიციატების ფარგლებში 2005 წლის 26 იანვარს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინაშე სიტყვით გამოსვლისას, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გააჟღერა ახალი სამშვიდობო ინიციატივა. პრეზიდენტის გამოსვლა საინტერესოა სახელდების თვალსაზრისით, ვიანაიდანნ იგი თავდაპირველად იყენებს იმ ტერმინს(ცხინვალის რეგიონი), რომელიც უფრო მისაღებია ქართული საზოგადოებისთვის, თუმცა იქვე უთითებს, რომ საუბრობს რეგიონზ, რომელიც „...ზოგადად, სამხრეთ ოსეთის სახელით არის ცნობილი”.[94] იმავე წლის მარტში საქართველოს მთავრობის მიერ გაჟღერებულ სამშვიდო ინიციატივაში სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებით, რეგიონის პოლიტიკური სტატუსსა თუ კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისთვის საჭირო პროცესებზე საუბრისას, რეგიონის სახელწოდებად ერთმნიშნელოვნად გამოიყენება „სამხრეთ ოსეთი“.[95] აღნიშნული ინიციატივა ეფუძნება მანამდე ევროსაბჭოში პრეზიდენტის მიერ გაჟღერებულ ხედვას[96].

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, საფრანგეთის პრეზიდენტს ნიკოლა სარკოზის შუამავლობით ხელმოწერილ ცეცხლის შეწყვეტის შეტანხმებაში, მე-6 პუნქტის გულისხმობს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების შესახებ საერთაშორისო დისკუსიების დაწყებას.[97]

აგვისტოს ომის შემდეგ ინიცირებულ სამშვიდობო პოლიტიკის დოკუმენტებში უკვე მკვიდრდება ტერმინის ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი. რეგიონის ამგვარ სახელწოდებას იყენებს, როგორც 2010 წელს ინიცირებულ სახელმწიფო სტრატეგიაში ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ „ჩართულობათანამშრომლობის გზით“[98], ასევე 2018 წელს მიღებულ სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“[99]

ამდენად ისეთ სამშვიდო ინიციატებსა და შეთანხმებებში, რომლებშიც ჩართული იყო კონფლიქტის ორივე მხარე ან ეხებოდა რეგიონის პოლიტიკურ სტატუსს ქართული მხარე მუდმივად გამოთქვამდა მზადყოფნას გამოყენებულიყო ტერმინის „სამხრეთ ოსეთი“, აგვისტოს ომის შემდეგ, როდესაც საუბარიც აღარ არის პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებით ინიციატივებზე და ხედვების უმრავლესობა უფრო დეკლარაციულ ხასიათს ატარებს, მიმართულია მეტწილად კონფლიქტის ტრანსფორმაციისკენ, უკვე გამოიყენება

[93]განცხადება ზ. ბ. ჟვანიასა და ე. განცხადება ჯ. კოკოითის შეხვედრის შედეგების მიხედვით, https://timeline.isnc.ge/timeline/2004

[94]მიხეილ სააკაშვილი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინაშე: ახალი სამშვიდობო ინიციატივა (radiotavisupleba.ge)

[95]Civil.Ge | საქართველოს მთავრობის ინიციატივა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებით

[96]Civil Georgia | თბილისი სამხრეთ ოსეთის სტატუსის თაობაზე დოკუმენტს აქვეყნებს

[97]08.08.08 დოკუმენტები (iccn.ge)

[98]11. სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ – ჩართულობა თანამშრომლობის გზით.pdf (nsc.gov.ge)

[99]ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ - SMR.GOV.GE - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

შედარებით ნეიტრალური, ორივე მხარეს მყოფი საზოგადოებებისთვის მისაღებ ტერმინთა კომბინირებული ვერსია „ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი“.

სახელდება სამართლებრივ აქტებში

ქართულ-ოსური კონფლიქტის კონტექსტში კონფლიქტის ზონის სახელდების პრობლემურობა ასახულია მოქმედ კანონმდებლობაში. სახელდების კანონმდებლობის დონეზე პრობლემურობის საფუძველი შეიქმნა 1990 წლის 11 დეკემბერს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპიბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“.[100]აღნიშნული პერიოდიდან „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ქართული რეალობისთვის უქმდება, ცხადია არ მომხდარა ამავე აქტით გათვალისწინებული წინადადებების წარმოდგენა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ.

საკანონმდებლობ აქტების ბაზაში დაცულ საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებში ვხვდებით რამდენიმე სახელდებას, რომელთა კონტექსტი და მათი მიღების პერიოდი კარგად აჩვენებს შესაბამის პერიოდში ტერმინთა დატვირთვას საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. საკანონმდებლო დონეზე ძირითადად გამოიყენება ტერმინის „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქი“, „ცხინვალის რეგიონი“ და მათი კომბინირებული ვერსია „ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი“.

საქართველის 1995 წლის 24 დეკემბერს მიღებულმა კონსტიტუციამ საქართველოს ტერიტორიულისახელმწიფოებრივიმოწყობისგანსაზღვრებამთლიანად დაუკავშირა ქვეყნისმთელტერიტორიაზესაქართველოსიურისდიქციისსრულადაღდგენას და მის პირველად რედაქციაში კონტროლირებადი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსზეც კი არ არის საუბარი[101]. ტერმინოლოგიური თვალსაზრისით მხოლოდკონსტიტუციის პირველ მუხლშია ნახსენები, რომ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“ ჩატარდა. ამდენად კონსტიტუცია საკანონმდებლო დონეზე ამკვიდრებს გეოგრაფიული არეალის „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის“ სახელწოდებით მოხსენიების სტანდარტს.

პოლიტიკურ-სამართლებრივ სივრცეში, დროის შესაბამის პერიოდში, სტატუსისა და სახელწოდების მიმართ დამოკიდებულებას კარგად ასახავს საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 23 მარტის ბრძანებულება, აქტი იხსენიებს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს, რომლებიც სხვადასხვა სტატუსით შედიან საქართველოს შემადგენლობაში. მასში ცალკეა მოხსენიებული აჭარა, აფხაზეთი და განცალევებითაა მოხსენიებული „ყოფილი სამხრეთ ოსეთი“, როგორც ტერიტორიული ერთეული.[102]შესაბამისად „ყოფილად“ მოიხსენიებს, არა ტერიტორიული ერთეულისსტატუსს „ავტონომიური ოლქი“, არამედ თავად სახელდება „სამხრეთ ოსეთს“.

---

[100]https://matsne.gov.ge/document/view/1079618?publication=0

[101] საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი (1995 წლის 24 აგვისტოს რედაქციით.)

[102]„აფხაზეთის, აჭარის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის, მხარეებისა და ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამების შემუშავების ღონისძიებათა შესახებ“. https://matsne.gov.ge/document/view/109672?publication=0

2005-2006 წლებში საქართველოს პარლამენტმა მიიღო რამდენიმე დადგენილება ქვეყანაში არსებულ კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი ვითარებისა და სამშვიდობო პროცესების მიმდინარეობის შესახებ, რომლებშიც რეგიონი მოხსენიებულია ტერმინით „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“.[103]მათში, ისევე როგორც ამავე პერიოდში მიღებულ „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ საქართველოს კანონში,“[104]თავია არიდებული გეოგრაფიული არეალის უბრალოდ „სამხრეთ ოსეთად“ მოხსენიებაზე.

ჯერ კიდევ 1996 წლის საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში[105] მითითებულია ერთის მხრივ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და მეორეს მხრივ ცხინვალის რეგიონი, როგორც ტერიტორიული ერთეულები, საიდანაც მოხდა მოსახლეობის ნაწილი იძულებით გადაადგილება.სხვა აქტებშიც „ცხინვალის რეგიონი“ მკვიდრდება, როგორც უფრო ჰუმანიტარული, რეგიონიდან დევნილებთან დაკავშირებული საკითხების მომწესრიგებელი აქტებში გამოყენებული ტერმინი[106] და იშვიათად გვხვდება ტერიტორიულ-გიოგრაფიული არეალის მოსანიშნად[107].

ტერმინს „ცხინვალის რეგიონი“, სამართლებრივ სივრცეში ჩნდება „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ პარალელურად, თუმცა აგვისტოს ომამდე ეს ორი ტერმინი, როგორც წესი არ გამოიყენება ერთდროულად და სინონიმურად.ტერმინების „სამხრეთ ოსეთი“ და „ცხინვალის რეგიონი“ ერთობლივ გამოყენებას საკანონმდებლო ბაზაში პირველად ვაწყდებით 2008 წლის 31 იანვრის საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში[108]შესაბამისად კონფლიქტური რეგიონის ტერიტორიულ/გეოგრაფიული აღნიშვნის მიზნით ნელ-ნელა მკვიდრდება სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი, სხვადასხვა კომბინირებული ფორმით.

---

[103]https://matsne.gov.ge/ka/document/view/43282?publication=0საქართველოს პარლამენტის 11/10/2005 წლის დადგენილება N1927 "ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი ვითარებისა და სამშვიდობო ოპერაციების მიმდინარეობის შესახებ"
https://matsne.gov.ge/ka/document/view/43594?publication=0საქართველოს პარლამენტის 15/02/2006 წლის დადგენილება N2655 "ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არსებული ვითარებისა და სამშვიდობო პროცესის მიმდინარეობის შესახებ"
https://matsne.gov.ge/ka/document/view/43984?publication=0საქართველოს პარლამენტის 18/07/2006 წლის დადგენილება N3483 "საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სამშვიდობო ძალების შესახებ"

[104]https://matsne.gov.ge/document/view/23050?publication=0

[105]„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის თაობაზე | სსიპ ”საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” (matsne.gov.ge)

[106]რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს მოქალაქეთა ურთიერთმიმოსვლის შესახებ შეთანხმების განხორციელების გადაუდებელ ღონისძიებათა თაობაზე | სსიპ ”საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” (matsne.gov.ge)

[107]საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ | სსიპ ”საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” (matsne.gov.ge)

[108]საქართველოს მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისათვის ნდობის გამოცხადების შესახებ | სსიპ ”საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” (matsne.gov.ge)

უფრო ხშირად ვხვდებით ფორმას, ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი). ასეთი ფორმას ამკვიდრებს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მიღებული „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველის კანონი[109], რომლის მეორე მუხლის შესაბამისად ამ კანონის მიზნებისათვის ოკუპირებული ტერიტორიებში შედის „ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები).“

„ცხინვალის რეგიონი“, როგორც მანამდე სამართლებრივ-გეოგრაფიული განმარტების არ მქონე, უკვე იძენს კონკრეტიზირებულ ფორმას და ახალი ფორმა მის ფარგლებს ამთხვევს გაუქმებამდე არსებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებს. უაკანსკნელ პერიოდამდე მიღებულ სხვადასხვა სამართლებრივ აქტებში ძირითადად სწორედ ეს ტერმინი მკვიდრდება, მათ შორის რეგიონში ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებთან დაკავშირებულ[110], ასევე იქ მიღებული განათლების აღიარების[111] მარეგულირებელი აქტებში.

ტერმინების ცხინვალის რეგიონისა და სამხრეთ ოსეთის კომბინირებულ ვერსიას ვხვდებით საქართველოსა და ევროკაშვირს შორის 2014 წელს გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებაში, რომლის მიხედვითაც საქართველომ იკისრა ვალდებულება მის რეგიონებთან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონ/სამხრეთ ოსეთთან მიმართებით მოაგვარს მხოლოდ მშვიდობიანი გზით, საერთაშორის სამართლის ნორმების გათვალისწინებით[112].

დროებითი ადმინისტრაცია

საქართველოს პარლამენტმა 2007 წელს მიიღო კანონი „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის სათანადო პირობების შექმნის შესახებ[113]“, რომლიდან გამომდინარეც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა დროებითი ადმინისტრაცია[114]. ადმინისტრაციის ერთ-ერთ ფუნქციად განისაზღვრა, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში ავტონომიური სტატუსის განსაზღვრის“ მიზნით მოლაპარაკებების წარმოება, თუმცა მასში არ არის განსაზღვრული თუ რა სახელდებით უნდა იარსებოს აღნიშნულმა ავტონომიამ.

დროებითი ადმინისტრაცია, როგორც მისი შემქნის აქტებში, ასევე შემდგომ დოკუმენტებში მუდმივად მოიხსენიები, როგორც „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია“, თუმცა აღსანიშნავია რომ როგორც თავად ადმინისტრაციის მიერ სხვადასხვა დროს გავრცელებულ სიახლეებში, ასევე საზოგადოებრივ თუ მედია სივრცეში ადმინისტრაციასთან მიმართებით მკვიდრდება ტერმინი „სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია“[115]

---

[109] ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

[110] აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირების რეგისტრაციის, პირადი ნომრის მინიჭების, პირადობის ნეიტრალური მოწმობის და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაფორმების, გაცემის და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" (matsne.gov.ge)

[112] eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02)

[113] https://matsne.gov.ge/ka/document/view/24280?publication=0

[114] საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 10 მაისი ბრძანებულება №296, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/100630?publication=0

[115] https://soa.gov.ge/

2022 წელს დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შეცვლის პროცესში მიღებულ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში საუბარია ზოგადად „დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულზე“ ყოველგვარი გეოგრაფიული სახელდების გარეშე[116], თუმცა მთავრობის ადმინისტრაციის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე ადმინისტრაციაში ცვლილების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაში ადმინისტრაცია მოხსენიებულია, როგორც „სამხრეთ ოსეთისადმინისტრაცია“[117] და შესაბამისად ინფორმაციაც მედიაში სწორედ ამ ფორმულირებით გავრცელდა[118]. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ ადმინისტრაციასთან მიმართებით არც პოლიტიკურ და არც საზოგადოებრივ დონეზე არ არსებობს წინააღმდეგობა ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ გამოყენებასთან დაკავშირებით.

შეჯამება

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ორივე მხარისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია სახელდებასთან დაკავშირებული შიშები.ერთის მხრივ ქართულ საზოგადოებაში უკმაყოფილებას და წინააღმდეგობას იწვევდა, ქართულ აღქმაში, სუფთად ქართულ რეგიონში, არაენდემური სახელწოდების ერთეულის გაჩენა, რომელიც მიბმული იყო ამ სივრცეში მცხოვრებ, მხოლოდ ოსური მოსახლეობის სახელწდებასთან, თუმცა უფრო მძლავრ წინააღმდეგობასა და შიშს იწვევს ტერმინ სამხრეთ ოსეთის დაკავშირებულობა ე.წ. ერთიანი ოსეთის კონცეფციასთან და ადგილობრივი პოლიტიკური აქტორების გაცხადებული სწრაფვა ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანებისკენ. შესაბამისად ქართულ მხარეს სწორედ ეს მოცემულობა აყალიბებდა დამოკიდებულებას, რომ არ ეარსება რაიმე ნებისმიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ფორმით სახელწოდებამ სამხრეთ ოსეთი.

რაც შეეხება, ოსური მხრიდან სახელდებასთან დაკავშირებით წინააღმდეგობას, მას ორი ძირითადი ფაქტორი აყალიბებს. პირველი, არის ტერმინის მოცემულობად აღქმა და რამდენიმე თაობა, რომლებმაც მათ შორის ქართველებთან ერთად ყოველგვარი წინააღმდეგობრიობის გარეშე იცხოვრა სივრცეში სახელწოდებით „სამხრეთ ოსეთი“, მათი მხრიდან სამშობლოდ სწორედ ამ სახელდების სივრცის აღქმა, მათთვის ერთგვარად ამ სივრცის ბუნებრივი სახელწოდებაა, ამიტომ მიუღებელია სხვა ფორმის სახელდება. მეორე ფაქტორი, არის სახელდება „სამხრეთ ოსეთის“ ამოღების, მათი როგორც კონფლიქტის მხარის, ანგარიშგასაწევ მხარედ მიჩნევის იგნორირება. ამის კარგ ილუსტრაციას წარმოადგენს საქართველოს დღევანდელი რუკა, სადაც უმეტესად არანაირად არ არის მონიშნული „სამხრეთ ოსეთი“. სახელდებათა ცვალებადობა, როგორც საკანონმდებლო ისე საზოგადოებრივი ნარატივების დონეზე გვაჩვენებს, რომ ეს პროცესი წარმოადგენს შიდა თუ გარე ფაქტორებიდან გამომდინარე კონფლიქტებთან დაკავშირებით შექმნილი რეალობების ანარეკლს. მაშინ როდესაც კონფლიქტის ტრანსფორმაციის შანსები ჩნდება, მით უფრო თუ მხარეების პირდაპირი დიალოგსა და კონფლიქტის პოლიტიკური გადაჭრის გზების ძიების პროცესში არიან ხერხდება კონფლიქტური ტერმინებისთვის გვერდის აქცევა.

საზოგადოებრივი განხილვების და მით უფრო საჯარო სივრცეში პოლიტიკური აქტორების მხრიდან კონფლიქტის ზონის სახელწოდებაზე მომეტებული ყურადღების გამახვილევა

[116]საქართველოს მთავრობის 2022 წლის 4 ნოემბრის N518 დადგენილება, https://matsne.gov.ge/ka/document/view/5607380?publication=0

[117]https://www.facebook.com/GeorgianGovernment/posts/pfbid0Rra2EhqLVnFGtEfqUbryxuuDUrwDLonL1t8S94pRC9iqhWm6c3BfSGq23MrtFeuZl

[118]https://www.ajaratv.ge/article/104885

აჩვენებს არსებული მდგომარეობის ჩიხურობას, კონფლიქტის გადაჭრის ხედვების არ არსებობასა და საკითხი მიმართ ზედაპირულ დამოკიდებულებას.[119]

ქართული მხარის, ერთი შეხედვით, თითქოსდა პრინციპული მიდგომა კონფლიქტის ზონის ტერმინთან დაკავშირებით ხშირ შემთხვევაში გადაზრდილა მეტ მოქნილობაში. ის თუ რომელი ტერმინი გამოიყენება, ხშირად დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის მიემართება ესა თუ ის მოქმედება თუ განცხადება. თუ განცხადება მიემართება შერიგებას, მეორე მხარეს ამ შემთხვევაში მეორე მხარისთვის მაქსიმალურად მისაღები ფორმულირების შერჩევა ხდებოდა. ეს ტენდენცია ნარჩუნდება კონფლიქტის დინამიკის მთელ პერიოდში. შიდა აუდიტორიისთვის განცხადების დროს მხედველობაში მიიღება, თუ რა არის საზოგადოებისთვის იმ მომენტისათვის მისაღები, რისთვის არის იგი მზად და შესაბამისად პოლიტიკურ წონა რომელ ტერმინს მეტი აქვს, აქედან გამომდინარე ხდება როგორც კანონმდებლობაში, ასევე შიდა განცხადებებში ტერმინის შერჩევა.

[119]მაგ. ნიკოლოზ სამხარაძე ევროკავშირს ტერმინ "სამხრეთ ოსეთის" "ცხინვალის რეგიონით" შეცვლას სთხოვს (radiotavisupleba.ge)